

საქართველო
მეცნიერებები

საქართველო
მეცნიერებები



კერძოები

59

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის
საზოგადოებრივი

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ
И КУЛЬТУРЫ

GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF HISTORICAL AND
CULTURAL MONUMENTS





ბათუმის კათოლიკური ეკლესიას ხედი.
г. Батуми. Католическая церковь.

ბათუმის კათოლიკური ეკლესია — ციხე-სიმაგრე ბიბინის ერთ-ერთი კოშტი და გონიოს ციხე.
На обложке: — Крепость Хихани и крепость Гонио.

မြန်မာ: „အတိသက္ကလာဇာရီ၊ ဒုသလာမြန်မာ ရွှေမြန်မာ“



၁၇၂

မြန်မာ

ရွှေမြန်မာ

ပြည့်စုစုပေါင်းစပ်ပေါင်းစပ်

გ 0 6 5 5 6 6 0

არის რაციონი — მეცნიერებელთა და კურატორების ლაურეატთა დარბაზის — მატერიალური კულტურის მეცნიერების რეკონსტრუქციის მეცნიერების და	9
რეკონსტრუქციის მეცნიერების და	15
არის კონკრეტული მეცნიერების და	17
საუკანი მართვის მეცნიერების და	22
უშვერესების და	25
აგილან კახიძი, დავით კომახიძე, ვითა ვავრაძე — სხალთისწყლის ხელის ვა- ტერიალური კულტურის მეცნიერები	29
სისხლ მოგიმიშვილი — კონტრინის ხელის უძევებელი ისტორიული მეცნიერები	31
დავით ხახუტაშვილი — უასევის არქეოლოგიური ძეგლის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში	35
ავირან კახიძი — ფიჭვინარის ანტიკური ხანის ნაქალაქერი	43
გოგიარი გოგიარი — კურნების კულტურული	45
ალიკანტე დავითაძე — კანონიული	46
ილია გოგიარი — კურნების კულტურული	56
გია გალიევაშვილი — ბათუმის არქეოლოგიური სამუშაოები-კულტურული მუზეუმი	58
ეთიო გოგიარი — ქ. ბათუმის ისტორიულ-არქეოლოგიური აღგალები	62
იმისმა დავითაძე — საქართველოს ჩავალიშვილის ხახუტაშვილის მუზეუმი	67
ანონაციები რესულ და ინდიანურ ენებიც	73-79

СОДЕРЖАНИЕ

А. ТАКИДЗЕ — Памятникам культуры — неустанное внимание	9
Л. ШАРАШИДЗЕ — Памятники материальной культуры Аджарии	15
Р. ГОРГАДЗЕ — Доброжелатели и враги памятников	17
Д. КОМАХИДЗЕ — Архитектурные памятники Аджарии	22
Ш. ВАРШАНИДЗЕ — Каменные арочные мосты значительные памятники Грузинского зодчества	25
А. КАХИДЗЕ, Д. КОМАХИДЗЕ, Ш. МАМУЛАДЗЕ — Памятники материальной культуры ущелья Схалтисикили	29
С. ГОГИТИДЗЕ — Древнейшие исторические памятники Кинтришского ущелья	34
Д. ჯАХУГЛИШВИЛИ — Новейшие археологические поиски в Юго-Западной Грузии	38
А. КАХИДЗЕ, А. ДЖАВЕЛИДЗЕ — Пичвиарское городище античного периода	43
Г. იოТОЧАВА — Об одном интересном экспонате	46
А. ДАВИТАДЗЕ — «Кабицели»	56
Т. КОМАХИДЗЕ — Большие киппания старым кварталам города	58
Г. БАГОШВИЛИ — Батумский научно-исследовательский музей архитектуры	62
Е. ГОГИБЕРИДЗЕ — Историко-революционные места г. Батуми	67
И. ДАВИТАДЗЕ — Государственный музей революции Грузии	73—79
Аннотации на русском и английском языках	

პავლეგას მუზემი ზრდა და ცურადლება

სკვერ XIX ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად მატერიალური ნარმოების განუხრედ ზრდასთან ერთად ჩვენს კვეყანაში უდიდესა ღონისძიებები ხორციელდება სოციალისტური კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, ფართო და შესაძლებლობანი ადამიანთა პარმონიალი სულიერი ცხოვრებისათვის, იმისათვის რომ მთელ მოსახლეობას ხელაში უნიკალური კულტურულ ღირებულებებზე.

საბჭოთა ხალხის კულტურულ საგანძურში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისტორიისა და კულტურის ძეგლებს, რომელიც ემსახურებიან მეცნიერების, განათლებისა და კულტურის განვითარების. მშრომელთა იდეურ-ზნეობრივი, ინტერნაციონალური და ესთეტიკური აღზრდის ამოცანებს.

უკანასკნელ წლებში ისე როგორც მთლიანად საქართველოში, აქარის აეტონომიურ რესპუბლიკაშიც, მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოყენების, შესწავლისა და დაცვის გაუმჯობესებისათვის.

მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ზრდაში, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების პილექტებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გაფართოებაში ხელი შეუწყო ჩვენი ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და ფასახლებული ადგილების არქიტექტურულ-მშატერული გაფორმების გაუმჯობესებას, მონუმენტალური და დეკორატიული ხელოვნების იდეური და მხატვრული ღონის ამაღლებას, რაც მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მნიშვნელოვან საშუალებას ნარმოადგენს.

„ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების მიღების შემდეგ მნიშვნელოვნად ამაღლდა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, ზრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მშრუნველობა და ყურადღება ძეგლების გამოყენების, აღრიცხვის, დაცვისა და გამოყენების საქმისადმი. ძირითადად ლიკიდირებულია ძეგლების, ძეგლ-ბიუსტების, ობელისკებისა და დეკორატიული სკულპტურული ნაგებობების ზემდგომი ორგანოების ნებართვისა და პროექტის გარეშე დადგმის შემთხვევები. რაც ახლო ნარსულში დიდ ზოანს აყენებდა ამ საქმეს.

უკანასკნელ წლებში ჩვენს აეტონომიურ რესპუბლიკაში დაიდგა და იდგმება ვ. ი. ლენინის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწეების, დიდი

სამამულო ომის გმირების ძეგლები და ბიუსტები, სკულპტურული წაგებობანი, რომელიც დაკავშირდებულია ისტორიულ მოვლენებთან.

„აჭარის ასსრ მთანი რაიონების სახალხო მეურნეობის შემქუთხავი განვითარების. მოსახლეობის სოციალურ-კულტურული დონის ამაღლებისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს კეც ცნობილი კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის დადგენილების შესაბამისად, სხვა პრობლემებთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის გაუმჯობესებას. ამ დადგენილებების შესაბამისად უკვე შეკითხა დაწყდალოს, მახუნცეთისა და ფურტიოს თაღოვანი ხიდები.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო რეგულარულად განიხილავენ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და მოვლა-პატრიონობის მდგომარეობის საკითხებს და სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს არსებული წაკლოვანებების დასაძლევად. ამ საქმეს ახლა უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ აეტონომიკური რესუბლიკის სამინისტროები და უწყებები, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

უკანასკნელ წლებში ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხარეთა კულტურის ძეგლებზე წარმოება დაწესებულებებმა დაინტეს საშეფო მუშაობა. ქ. ბათუმის ხის დიმამუშავებელმა და ციტრუსების კომინისტებმა, წავთობგადამამუშავებელმა, მექანიკურმა ქართებმა და სხვა საწარმოებმა მინიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ძეგლების კეთილმოწყობისა და მოვლა-პატრიონობისათვის.

წარმოება-დაწესებულებებისა და სასწავლებლების სახით ბევრ ისტორიულსა და კულტურის ძეგლს გამოუჩინდა ნამდვილი მზრუნველი და ქომაგი. ამ მხრივ ქებას იმსახურებენ ხელვაჩაურის რაიონის მახლისა და ზედა ჩიუტკუნეთის კოლმეურნეობები, გონიოს ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა, ახალშენის საშუალო სკოლა, ქობულეთის რაიონის ხუცუბნის და ბობოვკათის, ხულოს რაიონის სხალთის, ხიხაძირისა და თხილვანის საშუალო სკოლები, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი და სხვ.

ძეგლთა დაცვის საზოგადოების აქტივისტთა ინიციატივით ქ. ბათუმის ზღვისპირა პარკში დაიწყო „ხალხთა მეგობრობის“ ხევინის შექმნა, სადაც უკვე დაიდგა ა. პუშკინის, მ. გორეის, ლეისია უკრაინელის ძეგლები, მალე დაიდგმიება ო. თუმანიანის, ტ. შეეჩინეოს, მირზა ფატალი ახუნდოვის, ალიშერ ნავოის, აბასის, კოსტა ხეთაგუროვის, დიმიტრი გულიას და სხვა გამოჩენილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ძეგლ-ბიუსტები, რომელებსაც მოქავშირე და აეტონომიკური რესუბლიკები გვიგზავნიან საჩუქრად. ხეივანში დაიდგმიება აგრეთვე ცნობილი ქართველი მწერლების ი. ჭავჭავაძის, ა. ნერეთლის, ვატა-ფაველას, ი. გოგებაშვილის, ე. ნინო-შვილისა და დ. კლიდაშვილის ძეგლ-ბიუსტები. მალე ეს ხეივანი გადაიქცევა ინტერნაციონალური ბათუმის ერთ-ერთ ღირსშესანიშვნაც ადგილად.

დიდი ისტორიული მოელენის — რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთების დღესასწაულის მზადების პერიოდში ქ. ბათუმში დაიდგმება გეორგიესკის ტრაქტატის 200 ნლისთავისადმი მიძღვნილი მემორიალი.

ძეგლთა დაცვის ერთ-ერთი საუკეთესო ენთუზიასტის დ. კორაზიძის ინიციატივით საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირის აჭარის განყოფილებამ ბათუმში თამარის ციხის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ საწყისებზე გახსნა არქიტექტურის ისტორიის მუზეუმი, რომელშიც ბევრი საინტერესო ექსპონატი ინახება და მრავალი დამთვალიერუბელი ჰყავს. მშრომელთა, პირველ რიგში ახალგაზრდობის, პატრიოტულ აღზრდაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბათუმის საპროლო დიდების მუზეუმი.

მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა პოპულარიზაციისა და პროპაგანდას. ამ მიზნით გამოიცა აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლების რუკა; ფერადი ფოტო-ალბომი „აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები“ ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე; ქ. ბათუმისა და ქაბულეთის რაიონის კულტურის ძეგლების მეგზურები ქართულ ენაზე. ასეთივე მეგზურები მასაც გამოიცემა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. მზადდება და მომავალ წელს გამოიცემა მეგზურები და ბევერლები ქ. ბათუმის კათოლიკური ეკლესიის, გონიოს ციხისა და სხალთის ტაძრის შესახებ. განმეორებით გამოიცემა ფერადი ფოტო-ალბომი „აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები“. რეგულარულად ეწყობა კონფერენციები, სალამოები, ექსკურსიები, ლექციები, მოხსენებები და საუბრები ძეგლთა დაცვისა და მოვლა-გამოყენების საკითხებზე.

აჭარის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა გამოვლინების, შესწავლის პოპულარიზაციისა და დაცვისათვის მნიშვნელოვან მუშაობას ენე-ების საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო კელეგითი ინსტიტუტი, საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირის აჭარის განყოფილება, საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის რესაუპლიკური ორგანიზაცია, აჭარის სახელმწიფო და რევოლუციის მუზეუმები, რიგი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. საქართველოს ალკა აჭარის საოლქო კომიტეტისა და აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს ინიციატივით ეწყობა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და ქამიკენების დათვალიერება-კონკურსები, წაც ხელს წყობს ზალხის აუზების მოვლა-დაცვას გაუმჯობესებას.

მოპოვებულ ნარჩატებებთან ერთად კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეში ჯერ კიდევ გვაძეს სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევები. მთელი რიგი ძეგლების მოვლა-პატრიონბა და დაცვა სრულიად არადამაკმაყოფილებელია. ზოგიერთი ძეგლი მძიმე მდგომარეობაშია და განადგურების საფრთხე ემუქრება. მაგალითად, ციხისძირში პეტრას ციხე, რომელსაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ნადგურდება ხეირა მცნარებისაგან.

ორმოცხვე მეტი ისტორიული და მატერიალური კულტურის ძეგლი საჭიროებს გადაუდებელ რესტავრაციას ან გამაგრებას. საჭიროდ მიგ-

ვარინია ბათუმში გაიხსნას ძეგლთა სარესტავრაციო სახელოსნო, რომელიც
შესარულებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ანუ-
ბული კულტურის ძეგლების შეკეთების, რესტავრაციისა და კონსერვაცი-
ის სამუშაოებს. უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს რესტავრაციონი-
თა კაფერების მომზადებასა და სწავლებას.

სამინისტროები, უწყებები, საპროექტო, სამშენებლო და სხვა ორ-
განიზაციები სადაზერეო, მინისა და სამშენებლო სამუშაოთა ნარჩოე-
ბის ზონაში ზოგჯერ არღვევენ ძეგლთა დაცვის ნებებს, რომელიც მი-
თითებულია კანონში „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა
დაცვისა და გამოყენების შესახებ“. მთლიანად აღვევთილი არ არის ძეგ-
ლთა დაზიანებისა და დანგრევის შემთხვევები.

დღეს, როცა ახალმა კანონმა ძეგლთა დაცვა საყოველთან-სახალხო
საქმედ აქცია, სახალხო დეპუტატთა დაგვილობრივი საბჭოების აღმასკო-
მები, სამინისტროები და უწყებები, სამეცნიერო და კულტურულ-საგან-
მანათლებლო დაწესებულებები, კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებე-
ბი უფრო მეტად, ვიზრე თვესმე, მოვალეობი არიან ყურადღება დაუთმონ
ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვას, ფართოდ გაშალონ მოსახ-
ლეობაში ახსნა-განმარტებით მუშაობა, ძეგლთა დაცვის საშეილოშევილ
საქმეში ფართოდ ჩააბან მშრომელები, საზოგადოებრივი ორგანიზაციე-
ბი, პროფესიონული და კომუნიკაციული აქტივი და ახალგაზრდობა, გადა-
ქრით უნდა აღვევთონ ძეგლთა დაზიანებისა და განადგურების შემთხ-
ვევები.

ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების აჭარის სა-
ოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები, პარტიული და საბჭოთა ორ-
განობების ხელმძღვანელობითა და დახმარებით საქართველოს კულტუ-
რის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VI ყრილობის გადაწყვეტილებათა შე-
საბამისად გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას, გააუმჯობესებენ ძეგლთა
დაცვისა და გამოყენების საქმეს, ღირსეულად შემუდრებიან სსრ კავშირის
შექმნის 60 წლისთავის სახელოვან იუბილეს.

მართვის და მოწყვეტილი მიზანი არის არა მართვის

მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული კუთხებით დამშვენებული ხატართვები მსოფლიოს იმ ქვეყნების მცირე ჯგუფს განვითარება, რომელსაც ხანგრძლივი და მდიდარი ისტორია გააჩინია. ამ ისტორიის აღმართინებისა თუ ძნელბეჭდის ნიშან-თვისებები მჭერმეტყველურად არის აღმდევტდილი სულიერი და ნივთიერი კულტურის ძეგლებში.

ჩენი ხალხის ეროვნული საუკუნის საგანძურში მნიშვნელოვანია მატერიალური კულტურის ძეგლების ნილვერი. ბევრ უცხოელს, რომელიც ჩვენს რესპუბლიკას სიდინჯით გასცნობია გულწრფელად განუცხადებია, რომ საქართველო ლია ცის ქვეშ უსაზღვროდ გაშლილი, უნიკალური ექსპონატებით დამშვენებული მუზეუმიათ.

ამ „მუზეუმში“ სამხრეთ-დასავლეთის მხარეს, კერძოდ აჭარას, ვამისრის ადგილი აქეს მიუკავნებული. განუზომელია აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული კულტურის ძეგლთა ისტორიული მნიშვნელობა: ყურადღებას იგი ძეგლთა სიმრავლითაც იქცევს. მის ტერიტორიაზე აღრიცხულია 104 ძეგლი. ამ რაოდენობაში არ შედის ნიაღისეული ნივთიერი კულტურის ნიმუშები.

ამ ძეგლების შექმნის თარიღები დაკავშირებულია პირველყოფილი თემური და მონათმისულობელური ხანიდან მოყოლებული დღევანდელობასთან. ჩენი წინაპრების მაღალი კულტურა და სააღმშენებლო ტექნიკის უზაფო ცოდნაა ჩაქსოვილი ყველა ამ ძეგლში. იგი ნაყოფია ორის ხელუბიან, მაღლიან ისტატითა თავაუღებელი შრომისა. მის აგებაში მთელი ხალხი მონათმილეობდა, ის ხალხი, ვინც XVIII საუკუნის გამოჩენილი მეცნიერის ვახუშტი ბატონიშვილის დახასიათებით: „კაცნი და ქალნი არიან ენა ტყილად მოუბარინი, ტანოვანი, მხენი, შემართებულნი, მშენიერი ცოდნა ხელოვნების მოყვარული“. მონათმისულობელობის დროის ბრწყინვალე ძეგლია გონიის ციხე(დღეს მას გონიის ციხეს უწოდებენ), მდებარეობს მდ. ჭოროხის შესართავთან, შეავის ზღვის ნაპირზე, მასზე პირველი ცონბა შემოგვინახა რომელმა პლინიუს სეუკუდუსმა (ახ. ნ. — I ს.), ბერძნულ-რომაული წყაროები მას აფსარუნტს (აფსარს) უწოდებენ. გონიის ციხე მას შემდეგ დაერქვა. ახ. ნ. II საუკუნეში აქ ხუთი რომაული კოპორტა იდგა. მაშინ იგი კარგად გამაგრებული და კეთილმოწოდილი ციხე-ქალაქი ყოფილა. იპოდრომით, თეატრით, აბანოთი და სხვა ნაგებობებით დამშვენებული.

ჯერ რომის იმპერია, შემდეგ ბიზანტია და სხვა ქვეყნები ცხოველი ტერიტორიებს იჩინდნენ ამ სტრატეგიულად დიდმინიშვნელოვან ციხესიმაგრისადმი. 1547-1878 წლებში ციხე ისმალობებს ეპყრა. 1878 წელს სან-სტეფანოს ზავით იგი აჭარასთან ერთად დაუბრუნდა.

ციხე გეგმით დიდი ზომის სწორუკუთხედია (4 პეტრიშე მეტი), ყოველ მხარეს თითო კარიბჭე აქვს, გალავანი 18 კოშკითაა გამაგრებული, კუთხის კოშკები უფრო დიდია, ქვითაა ნაგები. შეინიშნება რამდენიმე სააღმშენებლო ფენა, სომელთაგან უძველესი გამოირჩევა კარგი ფამილიურ-ბითა და წყობით. შემდეგი ფენაა კოშკებიანი ეკდლები, რომელიც შედარებით დაბალი ხარისხისაა, ბოლო ფენა XVI საუკუნისაა, როცა ციხეს თურქი ფლობდნენ.

ჩვენ დროში გონიოს ტერიტორიაზე რამდენიმე არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა. აღმოჩენილია მეტად მნიშვნელოვანი ნიერები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ოქროს ფიალა, ჭედური მედალიონი და საკიდი, ჭაბუკის ფიგურა, რომაული ხანის კერამიკა.

ამ ციხეს ძეგლია პეტრა-ქაჯეთის ციხეც. იგი მდებარეობს ციხისძირში. პროეოფი კესარიელის ცნობით თავდაპირველად აქ ლაზია სიმაგრე ყოფილა. იუსტინიანე დიდის დროს (527-565 წწ.) აქ დიდებული ციხე-ქალაქი გაჩნდა, რომელსაც იუსტინიანეს ქალაქი უწოდეს. ზოგი მეცნიერის მოსაზრებით პეტრა-ქაჯეთი ბიზანტიურ ხანაში იგივე როლს ასრულებდა დასავლეთ საქართველოში, როგორსაც თბილისი აღმოსავლეთში. XVIII ს. 20-იან წლებში ქაჯეთის ციხე ისმალოებმა დაიპყრეს და ძლიერ გაამაგრეს. 1878 წელს ეს ციხეც დედასაშობლოს დაუბრუნდა.

ბათუმის მშენებას ნარმოადგენს „თამარის ციხე“. იგი მდებარეობს ქალაქის აღმოსავლეთ შემოსასვლელში, მდინარე ყორილისწყლის მარცხნა ნაპირას, დღვევანდელ მენავთობეთა დაბაში.

ეს ძეგლი ადრეფეოდალური ხანის ქმნილებაა. იგი იმდენად დილინიშვნელოვან თბიერტის ნარმოადგენდა, რომ ხშირად ახდენდნენ მის აღდენასა და გადაკეთებას. მეცნიერები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ამ ციხის უძველესი ფენა — თარაზული წყობის კედლები, აგებულია ოსტატურად გათლილი ქსებით, რაც დამახასიათებელი იყო ბიზანტიური ეპოქისათვის. ეს გარემოება საფუძველს იძლევა ციხის აგება დათარიდეს VI-VIII საუკუნეებით. ციხის სხვა კედლები არსებითად განსხვავდება პირველი ფენებისაგან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მომდევნო საუკუნეებშია აგებული. დადგენილია, რომ ეს ძეგლი ზუთი სამშენებლო ფენისაგან შედგება. აქ რამდენიმე ნაგებობა შეინიშნება, აქედან ადვილი გასაგებია ის დიდი სტრატეგიული დაწინულება, რასაც თამარის ციხე ჩვენი ერის ისტორიაში ნარმატებით ასრულებდა.

ამ ციხემ ჩვენი დროის 60-იან წლებში დიდი ზიანი განიცადა. რამდენიმე ნაგებობა დაანგრიეს და კაფე-რესტორანი ააგეს. ამჟამად მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, ციხეზე არსებულ შენობაში გაიხსნა მთელს ჩვენს რესპუბლიკაში დასაფასებელი არქიტექტურის მუზეუმი, რომლის ცენტრზე დაგენერირდა საქართველოს არქიტექტურის ძეგლების ჩვენებასთან ერთად ფართოდ ნარმოგვიდგენს აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლებსაც.

ერთ-ერთი უძველესთაგანია ხიხანის ციხე. იგი მდებარეობს მაღალ მთაზე, აჭარა-შავშეთის საზღვარზე (ხულოს რ-ნი). მასაც რამდენჯერმე გა- ნუცდია განახლება-ალდგენა. მისი უძველესი ფენა შუაფეოდალურ ხანას კურძოდ, X-XI სს. განერეტვნება, ხოლო გვიანდელი—ოსმალოთა შუალურობის პერიოდს. ციხის ფართობი რამდენიმე პექტარზეა გადაჭიმული, ხა- ნილი ვაკეა, ნაწილი კი დამრეცი და ციცაბოა.

ამგამად ხიხანში ოთხი კოშკია შემორჩენილი. ეს კოშკები დაზიანე- ბულია, მაგრამ დაკვირვებული თვალი კარგად შემჩნევს მათ დიდ ლი- რებულებას. ციხის ასასვლელთან მდებარე კოშკის ზოგიერთი კუდელი ნაზ- გრევების სახითაა ჩვენამდე მოღწეული. ამ კოშკის ნინ მარანი ყოფილა მოწყობილი, სადაც დღემდის შემონახულია რამდენიმე ქვევრი. ასევე გა- მოიყურება სხვა კოშკების კედლებიც.

ეს ციხე X-XII სს. აჭარის ერთსავთ-ერისთავ აბუსერისძეთა რეზიდუ- ცია ყოფილა. XIX ს. დასაწყისში აქ ბინადრობდა ეროვნულ-განმათავრი- სუფლებელი ბრძოლის ცნობილი გმირი სელიმ ხიმშიაშვილი.

ჩვენს კუთხეში ბლობადაა შემონახული გვიანშეასაუკუნეების ციხე- ებიც, მათ შორისაა მთისუბნის ციხე, რომელიც მდ. ჭირუხისნებილის მარ- ჯვენა ნაპირზე მდებარეობს სოფელ მთისუბნის ტერიტორიაზე (შუახევის რ-ნი). შედარებით უკეთაა შემორჩენილი ციხის სამხრეთ-დასავლეთი კე- დელი, ხოლო სხვა კედლები ძლიერაა დაზიანებული. კედლებში დატანე- ბულია სათოფურები, შემორჩენილია საბრძოლო ბილიკების ნაშთებიც. ციხე ფლეთილი ქვითაა (უანორმიასნორი წყობა) ნაგები.

ამ პერიოდის ნაგებობათ შორის ყურადღებას იქცევს გულების ციხე (ქედის რ-ნი). ეს ციხე და მისი ტერიტორია დიდი არ არის, მაგრამ თავისი ადგილმდებარეობით გამოიწვევა. მაღალ კლდეზე ნამოჭიმულ ამ ციხეზე ერთი ვიწრო ასასვლელი ბილიკია. ციხის ტერიტორია 80 კვ. მ. ფართო- ბისაა. დღემდე შემონახულია მხოლოდ ერთი ნაგებობა. ციხის კოშკი ალ- ბათ მაღალი და სართულებიანი იყო, იგი ამგამად ისეა დაზიანებული, რომ მისი მეცნიერული შესწავლა ბრკოლდება. ციხის ადგილიდან კრცელი მი- დამოები მოჩანს, მშენებლობის ტექნიკაზე დაკვირვება საშუალებას იძლევა ძეგლი XVI საუკუნეს მივაკუთვნოთ (ზოგიერთ დოკუმენტში იგი ზენდი- ის სახელით იხსენიება).

აჭარაში მრავლად იყო საკულტო ძეგლებიც, მაგრამ ფამთა სიავეს მხოლოდ მცირე ნანილი გადაურჩა. მათ შორის ბრძოლინაეს სხალთის დი- დებული ტაძარი, რომელიც XII საუკუნეშია აგებული. ეს ტაძარი დიდი ზომის დარბაზული ნაგებობაა, რომელსაც სამხრეთიდან და დასავლეთიდან ჰქონია კარიბჭები. ტაძარი ძლიერ იყო დაზიანებული. იგი არაერთხელ განუახლებიათ. მისი კამიტალური აღდგენა ჩვენს დროში განხორციელდა. ერთადერთი უძველესი საბუთი, რომელშიც ეს ძეგლია მოხსენებული, ეკუთ- ვნის აღვესანდრე პირველს (1412-1442). ამ ტაძარის აღმონავლეთის ფა- სადწე ასომთაერული ნარჩერაა: ღ/მერთ/ო იქსო შ/ეინყალ/ე ნ/იკოლოზ/ი.

თავის დროზე შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობა იყო თხილვა- ნის ითვანე ნათლისმცემლის ეკლესიაც, რომელიც XIII საუკუნის 20-30- იანი წლების მიჯნაზე აუგია სახელოვანი მნიშვნელობის ტბელ აბუსერისძის დას

ენერგიის. ახლახან დასრულდა ამ ეკლესიის მიღდამოების არქეოლოგიური გათხრები.

გეოგრაფიულ-სიცოცხლივი კომპოზიციის არქიტექტურული მშენებებაა აჭარის მთიან რაიონებში განლაგებული ქვისთალიანი ხილების-ასების ტრაპის ხილები საქართველოს სხვა კუთხეებშიც გვხვდება, მაგრამ ჩენი ნაგებობანი შერჩეული გეოგრაფიული ადგილმდებარეობით, თავისი განუმეორებელი მოხაზულობით, სამშენებლო ტექნიკის მაღალი ოსტატობით გამოირჩევიან და მონუმენტურ ძეგლთა უბადლო ნიმუშებს ნარმოადგენ. ასეთებია: მახოს, მახუნცეთის, დაწყალოს, ფურტიოს, ცხემვანის, ჭვანის, კინტრიშეს და სხვ. ხილები, აგებული შეა და გვიანულეოდალური ხანის სხვადასხვა პერიოდებში.

დანდალოს ხილი მდებარეობს მთ. აჭარისნებალზე, სოფელ დანდალოს ტერიტორიაზე (ქედის რ-ნი). ხილის სიგრძე 34,5 მ., სიგანე სხვადასხვა ზომაა, მინიმალურია 2,80 მ. ხილი გვემით ლათინურ ასო S-ს ჰგავს. სამშენებლო ტექნიკის თვალსაზრისით ასეთი ფორმის ხილის აშენება გაცილებით რთულია, რადგან, დატვირთვები არათანაბრად ნაწილდება. ეს ხილი შეაფენდალურ ხანაშია ნაგები.

მავე პერიოდს განვითვნება მახოს ხილიც. იგი მდებარეობს მთ. მახოსნებალზე (სოფ. მახო, ხელვაჩაურის რ-ნი). ეს ხილი ერთთაღიანი ნრიული ფორმისაა, სიგრძე 15,80 მეტრს მოიცავს, სიგანე ზოგან 2 მეტრია, ზოგან უფრო მეტი.

აჭარის სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო ფონდში დაცულია მდიდარი მაცერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები. მათ შორის კურადღებას იპყრობს ფეოდალური ხანის ისეთი ძეგლი, როგორიცაა ქვის სარკოფაგი სოფ. ალმედან (ხულოს რ-ნი). სარკოფაგი შედგება სამი ნანილისაგან. ქვედა ნანილი (მიცვალებულის ჩასასვენებელი) თავი ანუ სასურაეკი, რომელიც ორ ნანილადა გაყოფილი, ერთი ნანილი მცირე მოცულობისაა. იგი როგორც ჩანს მიცვალებულის ჩასვენების შემდეგ ეხურებოდა ქვის კუბოს. სახურავზე რელიეფურად გამოსახულია ჯვარი. ჯვრის ფეხი ანუ ძირითადი ნანილი გასდევს გამყოლად სარკოფაგის თავს თავითინ ბოლომდე, ხოლო ჯვრის ფრთხი იქეთ-აეფ გადასდევს კაბოს. ჯვრისაგან ნაკვეთ თოხივე ფონზე რელიეფურადვე გამოსახულია ჯაზეის ფიგურები. აღნიშნული სარკოფაგი უნიკალურია არა მარტო საქართველოში, არმედ ამიერკავკასაშიც. ქვის სარკოფაგი ნაპოვნია სომხეთშიც, მაგრამ შესრულების სტილით, სიღილითა და არქიტექტურული აგებულებით ალმეში ნაპოვნი სარკოფაგი იშვიათობის ნიმუშია. მის შექმნას მეცნიერები XIII ხაუკუნით ათარილებრნ.

მუზეუმში დაცული ამ რიგის ძეგლებიდან აღსანიშნავია თხილვანის ეკლესიის კარის თაღი ორნამენტითა და ძველი ქართული ნარჩერით. თხილვანის ეკლესია, როგორც ითქვა, აგებულია აბუსერისძეთა საგვარულოს მიერ და იგი თავისი ღროსისათვის ბრწყინვალე ძეგლს ნარმოადგენდა. მუზეუმის კოლექციიდან აღსანიშნავია ძველი ქართული ნარჩერით შესრულებული ეკები და ქვაჯვარები ხიხაძირიდან (ბაჟო), ღანტალოთან და სხვა.

კულტურის ძეგლების მოცელა-პატრონობის, მეცნიერული შესწავების
და პოპულარიზაციის დიდ საშეიღისშევიღო საქმეს აპამს თავს ჰარმონიუ-
ლოს კულტურის ძეგლთ დაცვის საზოგადოება (აჭარაში ამ სახელმწიფო
ების საოლქო საბჭო არსებობს). მის რიგებში ნებაყოფლობით წერილი შესწავების
მეტი ინდივიდუალური წევრია გაერთიანებული. ყველა მოზრდილი სა-
ნარმით თუ კოლმეურნეობა, დაწესებულება თუ საბჭოთა მეურნობა კო-
ლეგიური წევრის მოვალეობას ასრულებს.

1971 წელს საზოგადოებამ რუსულ-ქართულ ენებზე გამოსცა ფერადი
რუკა. მასზე გამოსახულია აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა
მნიშვნელოვანი კულტურის ძეგლი. დასტამბულ სხვა ნაშრომებს შორის
უნდა აღინიშნოს 1977 წ. გამომცემლობა „ხელოვნების“ მიერ განხორ-
ციელებული ფერადი ალბომი „აჭარა, მატერიალური კულტურის ძეგ-
ლები“. ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე შედგენილ ამ ალბომში
მოთავსებულია ასამდე ფერადი ფოტო. ძეგლთა დაცვის საზოგადოება
მაღლ განახორციელებს ცალკეულ ძეგლებზე მიძღვნილ ბუკლეტების გა-
მოცემას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-
კვლევითი ინსტიტუტი მეტად ნაყოფიერ საველე სამუშაოებს ახორციელებს
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი ნივთიერი კულტურის ძეგ-
ლების მიეკულევის, შესწავლა-გამომზეურებისა და დაცვა-გადარჩენის მიზ-
ნით. მდ. ჩოლოქის, კინტრიშის, კოროლისწყლის, მახვილაურისა და აჭა-
რისწყლის სათავეებში არქეოლოგიურ დაზვერვებისა და გამარტების შე-
დეგად ნეოლიტურ — ახალი ქვის ხანის სადგომებში აღმოჩენილია მრა-
ვალრიცხოვანი კაეის, ობსიდიანისა თუ რიყის ქვის ინვენტარი. ამ ინს-
ტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ განსაჯეორებით მდიდარი მა-
სალებია მომოვაბული ძველი კოლხეთის ქალაქებისა და საქალაქო ცხოვ-
რების გაშუქებისათვეს ფიქტურაში, ბათუმის ციხეზე, გონიოში, გურიან-
თასა და ზემოუარცხმაში. ნების მანძილზე განხორციელებული გეგმა-
ზომიერი, თანმიმდევრული, მეთოდური არქეოლოგიური გათხრებით დად-
გენილია, რომ ძ. წ. VI საუკუნიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში
ნარმოიქმნა მნიშვნელოვანი სახელოსნო და სავაჭრო ცენტრები, რომელ-
თაც მჭიდრო ურთიერთობა დაუმყარებიათ ანტიკური ცივილიზაციის ისეთ
ქვეყნებთან, როგორიცაა საბერძნეთი და რომი. ინსტიტუტის უახლო-
ესი პერსპექტიული სამუშაო გეგმა ამ სფეროში ბევრ საყურადღებო სა-
კითხების შესწავლა-გაშუქებას ითვალისწინებს.

ბათუმი მდიდარი რევოლუციური ტრადიციების ქალაქია. მის არცო-
ნე ფართო ტერიტორიას ოცდაორი ობელისკი და მემორიალი ამშევრებს.
რევოლუციურ ნარსულთან დაკავშირებული ადგილების აღნერა ფართო-
დაა მოკემული ბათუმის რევოლუციის მუზეუმის მიერ დასტამბულ შრო-
მებში. ამ მუზეუმის ექსპოზიციას და ფონდებში გამოფენილი და ღამე-
ლია ბევრი უნიკალური მნიშვნელობის დოკუმენტი და ნივთი, რომელიც
მოგვითხრობენ ამ კუთხის მშრომელთა მდიდარ რევოლუციურ ნარსულზე.

ქართული რეგიონისალური კულტურის ძეგლთა მეცნიერული შესწაველა
აჭარის სახელმწიფო მუზეუმის მირითადი პროგრამული მოახოვნილების

საგანია. მუზეუმშია ჩეენთან პირველმა ითავა ძეგლების გამოვლიშებისა და აღრიცხვის კეთილშობილური საქმე, იგი ნარსულში არქეოლოგიურ გათხრებსაც ანარმობდა. მუზეუმის მკლავმოულლელი შრომის 1 შეჯუბად ამ სფეროში წინათ უცნობი ბევრი საკოთხი მეცნიერული სიღრმიშის არის შესწავლილი და გამუქებული.

ჩვენ კუთხეში განლაგებული მატერიალური კულტურის ძეგლებიდან მხოლოდ რამდენიმე მათგანი მიმოვიზილეთ.

არ შეიძლება მადლიერებით არ მოვიხსენიოთ მეცნიერები, რომლებმაც დაუდალავი შრომა გასწიეს აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლის საქმეში. ასეთებია: ს. ჯანაშია, თ. სახოკია, ნ. ხოშტარია, ს. ლორთქიუანიძე, დ. ხახუტაშვილი, გ. ჩიტაია, ვ. ლექვინაძე, ლ. სუმბაძე, ი. ადამია, რ. მეფისაშვილი, თ. მიქელაძე ა. რობაქიძე და სხვა. მაგრამ გამორჩევით უნდა აღინიშნოს პროფ. ი. სიხარულიძის დაუდგრძომელი ღვაწლი. ბათუმში 1962 წ. გამოვიდა მისი წიგნი: „აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ჩვენი კუთხის მნიშვნელოვანი ძეგლების მეცნიერული შესწავლისა და პოპულარიზაციის კეთილშობილურ საქმეში. (წიგნში მოცემულია 50-მდე ძეგლის აღწერა).

ოსმალოთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის შედეგად ბევრი ძეგლი დაშიანდა, დაინგრა, აღიგავა პირისაგან მიწისა. ჩვენ დრომდე სამწუხაროდ მხოლოდ ნანგრევები შემორჩია, მაგრამ სახელმწიფოებრივი ზრუნვის წყალობით ზოგი უკვე აღდგენილია. ამ მიმართებით კელავ წარმოებს სამუშაოები და უნდა ვივარიაუდოთ, რომ უმოკლეს დროში ქართული კულტურის არალოკალური მნიშვნელობის ეს ძეგლები რესტავრაციის შეაუგად მაღე მიიღებენ პირვანდელ სახეს.

რევაზ გორგაძე

პაგლატის მოქათავი და

აქარაში დღემდე უხვადაა შემორჩენილი უნიკალური ძეგლები, რომელიც მიგვანიშნებენ ამ მხარის მდიდარ ისტორიულ ნაწილზე. სწორედ ქართველი კაცის დიდი ნიჭის ნაყოფია ჩვენი აეტონომიური რესპუბლიკის მთავა და ბარში მიმობნეული ციხეები და ეკლესიები, ნასოფლარები და ნაქალაქარები, სამარხები და სამსხვერპლოები, კერამიკისა და ლითონის სადნობი ლუმელები, დღემდე ნანგრევების სახით მოღწეული ტაძრები და ციხე-დარბაზები, ხიდები და გაუქმებული არხები.

მართალია, დროთა ვითარებაში, შეუბრალებელი სტიქიონი, მომხელურთა ბარბაროსობა მძვინვარებდა, საუკუნებული მუსრავდა, სპოდა და ანადგურებდა ჩვენი ერის საუნჯეს, მაგრამ ზოგი კულტურის ძეგლი სასწაულებრივ გადაურჩა მძვინვარე ქარიშხლებს და დღეს ჩვენი გმირი ხალხის სახელოვან ნაწილზე დაღადგებს. ასეთთა რიცხვს ეკუთვნის ჩვენი ერის სიამაყე. — პეტრას ციხე-ქალაქი ქობულეთის რაიონში, გონიოს ციხე-ქალაქი ხელვაჩაურის რაიონში, სხალთის დიდებული ტაძარი, ხიხანის ციხესიმაგრე ხელოს რაიონში და სხვ.


ამ ბოლო დროს ბევრი ქომაგი და გულშემატკიცარი გამოუჩნდა ჩვენს ძეგლებს. მათ გულით შეიცვარეს მრავალქარიშხალგამოვლილი ეროვნული საუნჯე. ასე, მაგალითად, ხელვაჩაურის რაიონის ს. მახოს კოლმეურნებამ (თავმჯდომარე ლ. მჭედლიშვილი) საკუთარი სახსრებით შეაცით სოფლის უძველესი თაღიანი ხიდი; აქარისალმართის სახოფლო საბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე ზ. სალვარიძე) ძველი იერსახე დაუბრუნა თანგრევისპირას მისულ ცხემვინას ოვალურ ხიდს; ზედა ჩხუტუნეთის კოლმეურნებამ კეთილმოაწყო ყოფილი საკულტო შენობა, სადაც სოფლის ეთნოგრაფიული მუზეუმი გაიხსნება; საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ბათუმის ორგანიზაციამ (თავმჯდომარე დოც. დ. კომახიძე) თამარის ციხეზე მოაწყო არქიტექტურის მუზეუმი, რომელსაც ბევრი დამთვალიერებელი ჰყავს; ხელოს რაიონის სხალთის სახოფლო საბჭოს აღმასკომმა და საშუალო სეილამ სხალთის ტაძარში გახსნეს კულტურის უნივერსიტეტი.

დიდი საქველმოქმედო საქმე ნამოიწყეს ქ. ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტმა ახალგაზრდობამ. მათ ორ წელიწადში უკვე შეაგრივეს და ძეგლთა დაცვის საზოგადოების ფონდს ჩაურიცხეს სამი ათას მანეთზე მეტი. ინსტიტუტის ამ თაოსნობას პირველები ქ. ბათუმის № 26 და

ხელვაჩაურის რაიონის ს. ახალშენის საშუალო სკოლებისა და ქ. ჭავჭამის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის მოსწავლეები გამოიხმაურნენ. მათ საზოგადოების ფონდში ორი ათას მართამდე შეიტანეს. ასეთი კორცხულ-საქ-მის წამოწყების ინიციატორები იყვნენ და მადლობის ლიტსნი-არგაშვილთ-ცენტრები ეთერ ჯიჯეიშვილი და აბელ სურგულაძე, № 26 საშუალო სკო-ლის დირექტორი ს. ცივაძე და პედაგოგი მ. სიორიძე. ვიმედოვნებთ, სხვე-ბიც მიბაძავენ მათ და კელავაც გაიზრდება ძეგლის მოყვარულთა რი-ცხვი.

ამასთან, არ შეიძლება არაფერი ვთქვათ იმ კურონზებზე, რომელიც ჩირქესა სცხებს ჩვენი მატერიალური კულტურის ძეგლების მხურვალედ მოსიცვარულეთა სახელებს. ეს ითქმის ქობულეთის რაიონის ზოგიერთი ხელმძღვანელის, განსაკუთრებით კი ციხისძირის სასოფლო საბჭოსა და ცატრუსების საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანლთა მისამართით, რომ-ლებმაც არაფერი დაიშურეს ისეთი უნიკალური ძეგლის მოსახლეობად და ამოსაგდებად, როგორიცაა, ადრეფეოდალური ეპოქის უბრნყინვალესი ქმნილება, ციხე-ქალაქი ჟემრა. იმის მაგივრად, რომ სასოფლო საბჭოს აღმასეობსა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობას ნესრიგში მოეყვანა ციხე-ქალაქის ტერიტორია, მათ ძეგლის დაცვის ზონაში ღიმონები დარ-გეს (სამას ძირზე მეტი), აჭარკოოპერაციორმა კი იქ უკანონოდ და უნებართ-კოდ აშენებული რესტორნის გაფორმების მიწნით მოახსრა მიდამო.

განა ქართველი კაცი ასე ბარბაროსულად უნდა ეპურობოდეს ხალხის ისტორიას, ეს რა განუკითხობაა ქობულეთის რაიონში?!



ხელობის დელების ხედით ხედი.

Церковь схатта. Общий вид.

დაცილ ქომანიშვილი

აზარის ხუროთმოძღვრული ძაგლაზი

აჭარა მდიდარია კულტურის ძეგლებით, იქნება ეს სამეურნეო თუ საკულტო ნაგებობანი, ციხესიმაგრები თუ ხიდები ანდა სხვა დანიშნულების შენობები. ყველა ეს ძეგლი, რომელმაც ჩვენამდე ნაირუერად მოაღნია, ძვირფას ჩვენებებს შეიცავს ნარისულის შესაცნობ-შესასწავლად. კ. მარქსის გამოთქმა რომ მოვიშველოთ, „რა მნიშვნელობაც დაშთენილი ძველების აგებულებას აქვს მოსპობილ ცხოველთა ჯიშების ორგანიზაციის შესასწავლად, ისეთი მნიშვნელობა აქვთ შრომის საშუალებათა ნაშთებს მოსპობილ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციათა შესასწავლად”.

მატერიალური კულტურის ძეგლები, მინისზედა თუ ნიაღისეული, თვალნათლივ ნარმოგვიჩენს ჩვენს ნინაპართა მაღალ კულტურას, ნატიფ ხელოვნებას, რომელთა უძეველეს ნიმუშებს ძველაღმოსავლურ ცივილიზაციაში საპატიო აღგიალი განვითარება.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურის ძეგლთა მეცნიერული შესწავლა გახულ საუკუნეში დაიწყო. ამ მხრივ განსაკუთრებულია რუსე-

თის ხაიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის (1826-1889) დამსახურება.

ამავე მხარის ძეგლთა კვლევას ღვანილი დასდეს რუსშია მეცნიერებმაც, რომელთა შორის გამოირჩევა გრაფიონა უვაროვა, მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე კულტურის ძეგლთა შესწავლა დამყარებული არ ყოფილა გეგმაზომიერ საფუძველზე და მეცნილად შემთხვევით ხასიათს ატარებდა.

საბჭოთა პერიოდში მატერიალური კულტურის ძეგლთა კვლევას აქარაში ერთხანს ძირითადად სამხარეო მოდენე მეცნიერება (შემდგომ-სახელმწიფო) მუზეუმი ახორციელებდა (დირექტორი ბ. ახვლედიანი). 50-იანი წლების მინურულიდან მას მხარში ამოუღა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელმაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტთან გაერთიანებული ძიებით (ხელმძღვანელი აკად. ნ. ბერძენიშვილი) თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია.

70-იანი წლების დამლუკიდან აქარაში კიდევ ერთმა ახალმა სამეცნიერო კერამ გამალა მუშაობა — საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირის აქარის ორგანიზაციის არქიტექტურის სამეცნიერო-კვლევითმა მუზეუმმა, რომელიც ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტთან (დირექტორი პროფ. დ. ხახუტაიშვილი) ერთად ნაყოფიერად იღწეოს. არქიტექტურის მუზეუმს მქონერი კავშირი აქვს ჩიხატაურის სამხარეო მოდენე მუზეუმთან, რომელთან ერთადაც სწავლობს აღმოსავლეთ გურიის ძეგლებს.

იმ მეცნიერებართა შორის, რომელთაც ჩვენს დროში აქარის კულტურის ძეგლთა შესწავლას ღვანილი დასდეს, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ხელოვნებათმოდენე რუსუდან მეცნიერების დამსახურება, რომელმაც ჩვეული მეცნიერული გულისყრით შეისწავლა სხალთის ტაძარი.

რამდენიმე ნაგებობა გამოაცემის და შეისწავლეს არქეოლოგებმა დაკვირვების ხასუტაიშვილმა, ამირან კახიძემ, შოთა მამულაძემ და სხვებმა.

აქარის ძეგლებს საინტერესო გამოკვლევები მიუძღვნეს ისტორიკოსებმა ხარიტონ ახვლედიანმა, ვეკოლ იაშვილმა, იური სიხარულიძემ და სხვებმა. ბ. ახვლედიანმა საყურადღებო ნაშრომი გამოაცემა ხიხანის დიდებულ ციხესა და კულტურული კომპლექსის და კულტურული ციხესები, ვ. იაშვილმა — გონიოს ციხესები, ი. სიხარულიძემ ცალკე წიგნი უძღვნა ამ ოცნებე ნლის ნინათ აქარის მატერიალური კულტურის ძეგლებს და ა. შ.

აქარის ძეგლებს მინიჭებულოვანი აღგიღი ეთმობა არქიტექტურის მუზეუმის შრომების პირველ კრებულში, რომელიც 1980 წელს გამოიცა. დასაბეჭდად მზადაა ამავე სერიის მეორე წიგნიც „ხუროთმოძღვრება“.

როგორც ცხედავთ საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურის ძეგლთა შესწავლა, რაც მომავალში აიდევ უფრო გაფართოვდება და გაძლიერდება.

აქარის უძველეს ხუროთმოძღვრულ ძეგლებში განსაკუთრებული აღ-

გილი უჭირავს გონიოს ციხეს, რომელიც ძველ ბერძნულ და რომაულ წყაროებში აფხარად ინოდება (ხელვაჩაურის რაიონი).

ციხე დიდი ხანია იპყრობს მკვლევართა (თ. უსახენსეი, ი. კარატელული, ლუ, კ. იაშვილი, ი. სიხარულიძე, დ. ხახუტაიშვილი, კ. ლექვინაძე) და უმცირესი სიძე და სხვ.) ყურადღებას და დღეს მისი შესწავლა საკმაოდ არის დანართულებული.

გონიოს ციხე მრავალფენიანი ნაგებობაა. დღემდე მოღწეული ქებლის უძეველესი სამშენებლო ფენა ახ. ნ. 111 ს-ით თარიღდება. უკანასკნელი ეი ეი თხმალოთა მფლობელობის ხანას განეკუთვნება.

თავისი ძეველი ფენით გონიოს ციხის გვერდით დგება გვარას ციხეც, რომელიც მდ. მაჭახლისა და ჭოროხის შესაყარში მდებარეობს (ხელვაჩაურის რაიონი). 1961 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ი. სიხარულიძე, არქიტექტორი ო. ხუციშვილი) პირველად სცადა ამ ციხის მეცნიერული აზომვა და შესწავლა.

ფეოდალური ეპოქის აჭარის ციხეებში ყველაზე საყურადღებოა პეტრაქავეთისა და ხიხანის ციხეები. პირველი ადრეფეოდალური ხანის ნაგებობაა, ხოლო მეორე — შეაფენდალური ხანისა.

დღესდღეობით უფრო პეტრაქავეთის მეცნიერული შესწავლაა დანინაურებული. ამ საქმეს არაერთმა მკვლევარმა დასტო ღვანლი (ს. ჯანაშია, ნ. ბერძნებიშვილი, ი. სიხარულიძე, დ. ხახუტაიშვილი, ა. ინაიშვილი და სხვ.).

ხიხანის ციხის შესწავლა პირველად ხ. ახვლედიანმა სცადა 50-იან წლებში. ცოტა მოგვიანებით ხიხანით ი. სიხარულიძეც დაინტერესდა და თავისი დაკვირვებანი რამდენიმე ნამრობში (1958, 1962) გადმოსცა. შემდეგაც არ მოპელებია ყურადღება ხიხანს. მაგრამ სრულყოფილი მეცნიერული შესწავლა ჯერ კიდევ მომავლის ამოცანაა.

ფეოდალური ხანის აჭარის სხვა საფორტიფიციო ძეგლებიდან აღსანიშავია ბეგებიშვილების, ცივასულას, საღორძოს, გულების, ტაკიძეების, კავიანის, ჭვანის, ოქროპირაულის, მთისუბნის, ჩხუტუნეთის, ყორილისთავისა და სხვა ციხეები. ყველა ამ ძეგლის პირველი არქიტეტურული აზომვისა და მეცნიერული შესწავლის ცდა კუთვნის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის 1961 წლის ექსპედიციას, რომლის ნაყოფიერი ძიების შედეგები შესულია პროფ. ი. სიხარულიძის ნიგნში „აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები“ (1962).

აჭარის კულტურის ძეგლთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქვის თაღიან ხილებს, რომელთა დიდი ნანილი მდინარეების აჭარის-წყალსა და კინტრიშვეა შემორჩენილი. ამ ძეგლთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა დანდალოს ხილი, რომელსაც ტრადიცია განვითარებული უფრდალიშის ხანისად მიიჩნევს, რასაც არც მეცნიერები უარყოფენ (დ. მშვინერაძე, ი. სიხარულიძე).

ამავე ეპოქითვე ათარიღებენ მახოს, მახუნცეთისა და ფურტიოს ხილებსაც.



Сурултионис ქვის თაღოვანი ხიდი.

Арочный каменный мост Фуртио.

ბათუმის („თამარის“) ციხე.

Батумская («Тамары») крепость.





ამგვარ ნაგებობებს აქარიში უფრო ადრინდელი ტრადიციები უჩანს და მათი მშენებლობა არც გვიან შუასაუკუნეებში შეწყვეტილა.

ამ ძეგლთა პირველი მეცნიერული აზომვა და შესწავლა 196 წ. წერილი განხორციელდა. ინტერესი ამ მიმართულებით არც შემდეგ დამტკრიცა და უკანასკნელ დროს აქარის ხიდებს ცალკე წიგნიც მიეძღვნა, რომლის აკტორია ისტორიკოსი შ. ვარშანიძე.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან ყველაზე ღიგი ზიანი საკულტო არქიტექტურამ განიცადა. ოსმალოთა ბატონობის ხანაში მრავალი ტაძრი დაინგრა და ალიგავა პირისაგან მიწისა. თუ როგორ ეკიდებოდნენ დამპყრობლები ამგვარ ნაგებობებს, ამის ნათელ-საყოფად ბათუმის სამების დიდებული ტაძრის ბეჭის გახსენებაა საქართვის. იგი მათ ააფეოქს ბათუმის დატოვების წინ (1878 წელს). ოსმალობის ფაშის დაინგრა ვერწებისა და თხილვანის ტაძრებიც, რომელთა არქეოლოგიურ-არქიტექტურული შესწავლაც უკანასკნელ დროს განხორციელდა (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ არქიტექტორთა კავშირის აქარის ორგანიზაციის არქიტექტურის სამეცნიერო-კვლევითი მუზეუმის გაერთიანებული ექსპედიცია).

სხალთის ხუროთმოძღვრულ ძეგლს დღეს დღი გულმოდგინებით იცავს ახალი აქარი, სხალთის ტაძართან ყოველწლიურად იმართება სახალხო დღესასწაული „ტბელობა“. ამავე ტაძარში რამდენიმე წელია ნაყოფიერად მოღვაწეობს სახალხო უნივერსიტეტი (საპატიო რექტორი პროფ. ი. სიხარულიძე).

პარტია და მთავრობა დღეს ყოველი ღონით უნყობს ხელს გარდასულ ჟამთა ხელოვნების ძეგლთა სანიმუშოდ დაცეისა და შესწავლის საქმეს. ამ დღი ღონისძიების მნიშვნელობა შესანიშნავად შეიცნო ხალხმა, რომელიც ბევრგან სათუთად ინახავს მამაპაპათა დიდებულ ნახელავს. თუმცა სასურველ სისრულემდე ჯერ კიდევ ბევრია გასაკუთებელი. ეჭვი არ არის, რომ მარჯვედ დაწყებული სახალხო ენთუზიაზმი ხუროთმოძღვრულ ძეგლთა დასაცავად არც მომავალში დაიშრიტება და ჩვენი ქვეყანა კულტურის ძეგლბითაც მდიდრულად შემოენახება შთამომავლობას.



ეპის თაღოვანი 60-იანი — ეცლი კართული არქიტექტორის
უძველესი განახლები

აჭარაში დაცული ქვეისთაღოვანი ხიდები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადრე და ფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლთა საუკრადლებო ჯგუფს შეადგენერა. მათი კონსტრუქციის თაეისტებულება მოწმობს, რომ აჭარა-სამცხე-ჯავახეთში, შავშეთ-იმერეთება და ტაო-კლარჯეთის სხვა რეგიონებში, ე. ნ. ზღვისპირა კლარჯეთში, ანტიკურ და სანყის ფეოდალურ ხანაში სოციალურ-კუონიმიკური ზანვითარების დონე დაახლოებით ერთნაირი იყო, ერთნაირი ჩრდის არქიტექტურისა და ხიდმშენებლობის დონეც; აჭარაში, ისინი, ძირითადად სამი მთვარი მდინარის — აჭარისწყლის, კინტრიშის, ჭოროხის და მის შენაკად მაჭაბლისწყლის აუზებსა და მათზე გამავალ ძველ სავაჭრო-სამიმოსელო გზებზე იყრიან თავს.

უკანასკნელ დორმიდე დადგენილი არ იყო ამ კონსტიტუციის ხილების რაოდენობა. ჩანს აჭარაში წინამთღარი ხილების ერთი ჩანილი დაიქცა და მინისაგან წაილეკა. უნდა ვიტიქროთ, რომ მომავალი ძიება კიდევ არაერთი ხილის ადგილსამყოფელს გამოაელონს.

თ. სახოვია თვლიდა, რომ აჭარაში ქვისთაღოვანი რეა ხიდია. მეფის რუსეთის ოფიცერი ვ. ლისოვსკი თერთმეტამდე ხიდს თვლიდა. სხვა ზოგიერთი ავტორი, კიდევ უფრო ნაკლებს. უკანასკნელ ხანს ქართული მატერიალური კულტურისა და არქიტექტურული ძეგლების კვლევა-ძიებას ფართოდ გაშლასთან დაკავშირებით აჭარაში 25-მდე ქვის თაღოვანი ხიდია მიღწებული. შესაძლოა არც ეს იყოს ზუსტი. ჩვენს დროში უკვე აღარ არის ის ხიდები, რომელიც ჭრობის, კინტრიშისა და ჯოჭოს ნაკლების შესართავებთან იდგა. აღარ არის აგრეთვე სოფელ აჭარისნებალთან (ხელვაჩაურის რ.) დაბა ქედაში მდ. აჭარისნებალზე, სოფელ ცხმორისში (ქედის რ.), პანთაძებში (ხულოს რ.) არსებული ხიდები, დოდი ხანი არ გასულა. რაც დაიკაბოლრათის (ქობულეთის რ.) და სხვა ხიდები, პოლო დრომზე ცნობილი არ იყო სოფელ ცხმორის, მირევთის, აგრეთვე ქოქოლეთის (ხელვაჩაურის რ.) ხიდები. მოგზაურთა და მკვლევართა ჰედგენილ აღნერებში შეტანილი არ იყო სოფელ პირველი მაისის, წონაარისის (ქედის რ.) ხიდები და ა. შ.

იმ სავაჭრო-საქართველო გზებს შორის, რომლებიც აჭარის ტერიტორიაზე გადიოდა ერთ-ერთი ძირითადი უნდა ყოფილიყო ჩრდილო კავკასიისა და მცირე აზიის ქვეყნების დამაკავშირებელი გზა, აჭარის ზღვისპირა ზოლში რომ გაივლიდა. ეს ტრასა ჩრდილოეთის მხრიდან ქობულეთშე გადმოვლით ბათუმის ზონაში შემოღიოდა, მისი ერთი შტრ მდ. აფხაზის გადაკვეთდა და სამხრეთისაკენ მიემართებოდა. ამ ტრასაზე იყო განლაგებული ქვისთალოვანი ხიდების ერთი ჯგუფი. ასეთივე იყო მდ. კინტრიშზე და მდ. ჭირობზე არსებული ხიდები. ხიდების ერთი ნაწილი კანლაგებულია იმ

გზაზე, რომელიც ქობულეთის ზოლიდან ჩაქვის მთების გადავლით ქედაში ჩადიოდა სოფელ მახუნცეთის, პირველი მაისისა და აგარის მეშვეობით. ქობულეთის ზონიდან ზერაბისელის მიმართულებით მიმავალ გზაზე უკავები სოფელ წონიარისის გავლით ბათუმ-გოდერის; ფართო ჭირობების ზე გადაყვავდა. არა გვეონია, რომ ყველა ეს ხიდი მხოლოდ აღგილობრივი დანიშნულებისათვის ეშვენებინოთ. ჭოროხის აუზს ხომ კოლხეთსა და ანტიკურ სამყაროს შორის სავაჭრო-კუნიმაურ ურთიერთობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ანალოგიური სტილის ოთხი ხიდია დაცული ბათუმ-მაჭახლის გზაზე, რომელიც ართვინში შედიოდა, ეს ხიდები მაჭახლის თემის სოფელებსაც ემსახურებოდა. მათგან ექვსი ჰიდის ჩაზღვის საზღვრებშია, ხოლო ამდენივე სოფელი თურქეთის ტერიტორიაზეა მოქცეული.

აჭარის ხეობაში გამავალ გზას მექარანები გოდერძის გადავლით სამცხეში გადაყვავდა, ხოლო ცალკეული განშტოებებით ქარავნები არტანუჯა და სამხრეთ საქართველოს სხვა რეგიონებში შედიოდნენ. სწორედ ამ გზაზე გვევდება დახვეწილი კონსტრუქციის მცელი ქართული ქვისთალვანი ხიდები.

ამ ხიდების მშენებლობის საკითხებზე სხვადასხვა აზრია გამოიქმნა. ზოგნი ფიქრობენ, რომ მათი მშენებლობა თამარის ხანის ეკუთხის. აკად. ნ. ბერძნიშვილი მიუთითებს, რომ ყველა ისინი (ქვისთალვანი ხიდები შ. ვ.) არ შეიძლება იყოს თამარის ხანის და მისი ნამოლვანარი. მათში უკველია, არაერთია უფრო ძველი ხანისა. ვ. ლისოვსკამ, რომელიც სამხედრო გზებისა და ხიდების სპეციალისტი იყო, მიუთითა, რომ ეს ხიდები ძირითადად თამარის მოლექტურამდევა აგებული. როგორც ეხდავთ ეს აზრი მაინცდამაინც არ განსხვავდება ნ. ბერძნიშვილის დასევნისაგან. ი. სიხმრულიძემ სცადა მათი დათარიღება და მიუთითა, რომ ამ ხიდების ერთი ნაწილი შეაფენდალური ხანის, ხოლო ნაწილი გვიან შუასაუკუნების ხანისაა, ზოგიც XVII-XVIII საუკუნეებს განეკუთვნება.

ამ საკითხზე საუბრისას არ ჰეიძლება არ გავისენოთ ქართველი ხალხის ცხოვრებაში IV-V საუკუნეებში მომზდარი დიდი მოვლენები. ჩენ მიგვაჩნია, რომ ქვისთალვანი ხიდების მშენებლობის სათავე IV-V საუკუნეებიდან მაინც უნდა მომდინარეობდეს, IV საუკუნის შუა ხანებში, როგორც ვიცით, ქრისტიანობა საქართველოში სახულმისიო რელიგიად იქცა, ამის შედეგად რიგი ძრები დაემჩნა მშენებლობის სტილს. ქართული კელტურისა და ხუროთმოძღვრების განვითარებაში ქრისტიანობის სახელმისიო რელიგიად აღიარების მინიშვნელობაზე მიუთითებდა აკად. ჩუბინაშვილი. ვახტანგ გორგაბალის ღრის ეოზე უფრო ახალ საუკუნერზე ადის არქიტექტურისა და სამშენებლო საქმის განვითარება, ფიქრობენ, რომ IV-V საუკუნეები ამ მიმართულებით ახალი ნახტომისათვის მზადებისა და ძიების პერიოდია. გორგაბალის უროს ქართლში უკვე გამოწიდა პირველი კათედრალები. ამ პოქაში გადაიდგა ახალი ნაბიჯი წინ სანარმო ძალთა განვითარებისა და ქვეყნის კუონომიკური ძლიერების განმტკიცებაში. ქ. თბილისის, უჯარმისა და სხვა ცენტრების მშენებლობამ

ქართული არქიტექტურის ფართო განვითარებას შეუწყო ხელი.

ვორგაბალის მეცოპის დროს - აჭარა ათ საერთისთაოდ დაჭოფილი იქნებოდი შედიოდა. ჩვენი აზრით მეცე გორგაბალის მიერ არაფეხული, და დი აღმშენებლობის კვალი აჭარა-სამცხესაც უნდა დამჩნეოდა აუკავშირისა.

დ. მშვენიერაძე მართალია, პირდაპირ არ მიუთითებს, რომ სწორედ ამ ეპოქაში დაუდო სათავე ქართული ქვისთალვანი ხიდების მშენებლობას, მაგრამ იგი აღნიშნავს, რომ მასუნცევისა და დანდალოს (ქედის რ.) ხიდები არქიტექტურისა და სამშენებლო საქმის განვითარების იმ ძველი პერიოდის ძეგლებია: «Эти два моста, — Бернс იგი, на реке Аджариенцкали по типу кладки и очертания более арханчна, чем мосты даже раниего средневековья»¹.

საერთოდ, VI-VII საუკუნეები, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში იმდენად განვითარებადი ჩანს, რომ მას ცალკე პერიოდად გამოყოფენ. გ. ჩუბინაშვილი ქართული არქიტექტურის ზოგადი ხასიათის, შენობათა ტიპებისა და მშენებლობათა ტექნიკის მიხედვით იმ პერიოდს ცალკე განიხილავს, როგორც ქართული ქრისტიანული არქიტექტურისა და ხელოვნების, ეულტურის აყვავების პირველ პერიოდს. ამ პერიოდის თითქმის ანალოგიურ შეფასებას ვხვდებით ვ. ბერიძესთან.

დაბოლოს ქვისთალვანი ხიდების მასობრივი მშენებლობის საეპთხე საუძრისას არ შეიძლება არ გავიხსენოთ აჭარაზე გამაცელი საეპთხო-სამიმოსვლო გზების დიდი მნიშვნელობა ახ. ნ. პირველი საუკუნეებისათვის, სწორედ ამაზე მეტყველებს IV საუკუნის რომაელი გეოგრაფ კასტორიუსის მიერ შედგენილი „პევტინგერიანა“-ს რუკაზე იმ პუნქტების დატანა, რომლებიც აჭარის ზღვისპირა ზოლში აღინიშნება. ამ რუკის შესახებ, როგორც ქართულ საისტორიო ლიტერატურაში მიუთითებენ, იგი არა მარტო VI საუკუნის, არამედ ახ. ნ. I-II საუკუნეების ცნობებსაც ეყრდნობოდა.. უფრო მეტიც აღნიშნულ რუკას თ. ყაუზჩიშვილი ძირითადში II საუკუნისად, ხოლო IV-V სს-ში გადაეკეთებულად და შევსებულად მიიჩნევს. ოთარ ლორთული ფილი მიუთითებს, რომ კასტორიუსის „პევტინგერიანა“-ს რუკა ახ. ნ. I-II სს. მასალებზე დაფუძნებული და შესაბამისად იმ ეპოქის ვითარების ამსახველიცაა. ცხადია კასტორიუსის ხელთ პერიოდა პტიოლემაისისა და არიანეს ცნობები. ამიტომ, არცაა გასაკეირი ის, რომ ქვისთალვანი ხიდების მშენებლობა ადრეუე დაეწყოთ.

ანალოგიური ხიდები, ცხადია შენდებოდა X-XII საუკუნეებში, ზოგიერთი ხიდი, ეკ ჩანს უფრო გვიან პერიოდშიც შეიძლებოდა აშენებულიყო — მაბაძეთ.

სახოგადოდ ზოგიერთი რუსი მკელევარიც კი მიუთითებს იმაზე, რომ ქართველებმა ძალიან ადრე იპოვნეს ცველაზე რაციონალური ფორმა კამარებისა, რომელმაც საშუალება მისცა მათ, ხიდები, ეშენებინათ ძვირადღირებული სოლისებრი ფილების გამოუყენებლად, მათი ზედაპირის გულდასმით გათლის გარეშე და თითქმის დაუმუშავებელი ფილებისაგან.

აჭარაში დაცული ქვისთალვანი ხიდები ჭეშმარიტად ქართული სტილის ხიდებია. ნარსულში იყო ცდები იგი ხან ვენეციურად და ხან გურუ-

ელთა მიერ ნაგებ ხიდებად მიეჩნიათ. გასული საუკუნის 80-იანი წლების
თბილისში გამოცემულ რუსულ პრესაში ამ საკითხზე ხშირად ვაკედებით
მცდარ შეხედულებებს, მაგრამ შემდეგ უკვე მთელი რიგი რუსი მკელე-
ვარებიც სწორ პოზიციებზე დადგნენ ბ. ნადიევინი მაგალითად შეტყობინდების
თემს, რომ ამ სტილის თაღების მშენებლობა იძერია-მესხეთში დაიწყო
მეტად აღრეულ ხანაში, რამდენიმე საუკუნით აღრე, ვიდრე დადგენილი
იქნებოდა სტატიკის კანონები. 6. კონდაკოვმაც აღიარა რომ ქვითხურო-
ბაში ქართველებს თვითმყოფადი კულტურა და სტილი აქვთ, ეს კულტურა
მათი შემოქმედებითი განვითარების ნაყოფია და ამ დარგში მათ ბიზან-
ტიკულებსაც კი გადააჭარბეს.

В. Лисовский. Чорохский край. Военно-статистические очерки. Вып. I—II. Тиф., 1887, стр. 14.

2 თ. კარტიკიშვილი, ბერძენი შეკრების ცნობები საქართველოს შესახებ, 11 წევნი, თბ., 1969, გვ. 13.

ამინან კახისა, დავით კომახიძე, შოთა ბაგრაძე


სხალთისხელის ხაობის მათიარიალური კულტურის ძაგლები

სხალთისხელის ხეობა აჭარის ასსრ ერთ-ერთი ულამაზესი მხარეთა-
განია. ეს ადგილები დასახლებული ჩანს ახალი ქვის ხანის ადრეული სა-
ფეხურიდან. შემთხვევით აღმოჩენილი ნივთიერი კულტურის ძეგლების
მიხედვით დასტურდება, რომ ბრინჯაოსა და აღრერკინის ხანაში ეს რე-
გიონი ნარმოადგენდა კოლხური კულტურის განუყოფელ ნაილს. ამის
ნათელი დადასტურებაა სოფ. ხიხაძირთან ახლოს აღმოჩენილი განძი,
რომელშიც სხვა ინვენტართან ერთად ნარმოადგენილი იყო კოლხური გრა-
ფიკული ხელოვნების უბრნყინვალესი ნიმუშები — გრავირებული ცუ-
ლები. ასევე ითქმის სოფ. ფუშრუაულის სამარხეული მასალების შესა-
ხებაც (სადა და გრავირებული კოლხური ცულები, თიხის ჭურჭელი, სა-
ლესი და ა. შ.).

1977 წლიდან ხეობის არქეოლოგიურ და არქიტექტურული ძეგლების
თანმიმდევრული შესწავლა დაიწყო აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-
კვლევითი ინსტიტუტისა და საქართველოს არქიტექტორთა კავშირის აჭა-
რის ორგანიზაციის გაერთიანებულმა ექსპედიციამ. მიუხედავად იმისა,
რომ კერ კიდევ განხორციელებულია შედარებით მცირე მასშტაბის სავე-
ლე-სადაუზურულ სამუშაოები, უკვე მოპოვებულია თვალსაჩინო შედეგები:

სოფ. ხევაძირითან აღმოჩენილი კუჭისტრი
გრავირებული ცეცხლი.

Колхский гравированный топор
(с. Хевадири).



სოფ. ვერების ცეცხლის წარწერითი და
ჩუქურთმისანი ქვების კარისფავი.

Камень с надписью церкви с.т.
Вереби.



სოფ. ვერისძის ეკლესიის ნანგრევების
ფრაგმენტი.

Фрагмент церкви сел. Верисди.



სოფ. თბილუანის ეკლესიის ჯაჭვითავის
წარწერისაზე ქვა.

Камень с надписью церкви сел.
Тбилини.



საფუძველი ჩაეყარა ამ მხარის განვითარებული ფეოდალური ხაწეს, ძეგლების გეგმაზომიერ კვლევას. გათხრითი სამუშაოები განხორციელდა გართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი პრინცინგალუ ძეგლის სხალთის ექლესის ტერიტორიაზე. დასტურდება, რომ პირველ ხანებში (დაახლოებით XII საუკუნისათვის) აუგიათ შედარებით პატარა ზომის საყდარი. ჩვენამდე მოღწეული სხალთის ეკლესია კი XIII საუკუნის ნაგებობა.

ანალოგიური ეკლესიების ნაგრევები შეისწავლა სხალთისწყლის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციის სოფ. ვერნებში, ხიხაძირსა და თხილვანაში. ყველა მათგანი ქართული ხუროთმოძღვრების უბრნწყინვალეს ნიმუშს ნარმოადგენს. აშკარაა, რომ შუა საუკუნეებისათვის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ნანილების მსგავსად, ეს ხეობაც ერთ-ერთ დაწინაურებულ მხარეს ნარმოადგენდა. სოფ. ვერნებსა და თხილვანაში აღმოჩენილი ნარნერიანი ქვებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით დასტურდება, რომ ეს ადგილები აბუსერისძეთა საერისთაოში შედიოდა. მათი საგვარეულო ეკლესია და რეზიდენცია სოფ. თხილვანაში უნდა ყოფილიყო.

სხალთის, ვერნების, ხიხაძირისა და თხილვანას ეკლესიების არქეოლოგიური გათხრებისას ხშირად ჩნდებოდა თანადროული ქრისტიანული წესით გამართული სამარხები, აკლდამები. საყურადღებოა, რომ განვითარებულ ფეოდალურ ხანაშიც კი ზოგჯერ მიკალებულისათვის ჩაუყოლებიათ სხვადასხვა სახის თიხის ჭურჭელი, ზანხალაკები, სამკაულები, ბრინჯაოსა და რეზინის ჯვრები და ა. შ.

ყურადღებას იქცევს მიწისზედა მატრიალური კულტურის ძეგლებიც. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში აღსანიშნავია ფურტიოს თაღიანი ხიდი, ხიხაძის ციხე და ვარდციხე-ციხესყელი. ვარდციხე-ციხისყელის გათხრებმა გვიჩვენა, რომ სხალთისწყლისხეობის საფორტიფიკაციო ნაგებობანი და ხიდები ეკლესიების თანადროულნი უნდა იყვნენ.

ამ მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ სხალთისწყლის ხეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ნეოლით-ენეროლით და გვიანბრინჯაო-ადრეკინის ხანაში. ამ რეგიონის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება განვითარებულ ფეოდალურ ხანაში. როგორც ჩანს, აქ გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-საკომუნიკაციო გზები, რომელთაც ხელი შეუწყეს მხარის ეკონომიკის, კულტურისა და სამშენებლო ხელოვნების აღმავლობას. ქართული კულტურის ამ საინტერესო რაიონისა და საერთოდ აჭარისწყლის ხეობის გათხრები საქართველოს არქიტექტორთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის დაფინანსებით გრძელდება.



კინტრიქის ჟურნალის მიერ გვიცის სამართლის მიერ გვიცის სამართლის

კარტინიშვილი (აკერძო) ერთ-ერთი უმნისცვენელოდგანესი მდგრადულობაზენია აქტარაში. იგი საემაოდ გრძელ და ფართო ხელისა ქმნის აქტარა-გურიისა და ქობულეთის ქედებს შორის. ეს მდინარე, რომელსაც ხშირი ნალექები და უამრავი ნაკადულები ასაზრდოებს, ხინოს მთის მნერველოთან (2599 მ. ზ. დ.) იღებს სათავეს, 49 კმ-ის სიგრძეზე მიედინება და ქობულეთთან ახლოს ერთვის შეა ზღვას. მისი აუზის ფართობი 334 კვ. კმ. შეადგენს. აღრ იგი მოელი დინების გასწვრივ ტყებით იყო დაფარული, რაც ხელს უწყობდა სინოტიკის შენარჩუნებას, ნაკლები იყო გადარეცხვაც.

კინტრიშის დიდი შენაკადებიდან აღსანიშნავია აჭყვა (მარჯვენა) და კინკიშა (მარცხენა). რაც შეეხება პატარა შენაკადებს, ისინი ორ ათეულ-ზე მეტია.

მდ. კინტრიშეა და მის შენაკადებზე მეტად საყურადღებო დაკვირვებანი უწარმოებია სოფ. ქობულეთის მცხოვრებს განთქმულ მეთევზებს უ. ბეჭანიძეს (დაბადებული 1888 წ.). მას შეუსწავლია მდ. კინტრიშის ყველა ის შენაკადი, რომელშიაც თევზი (უპირატესად კალმახი) ბინალრობდა.

კინტრიშის ხეობის ხელსაყრდელ კლიმატურ-ლანგდაფტურ პირობებს არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ადამიანის მიერ ამ ტერიტორიის ჯერ ეიდე უძველეს პერიოდში ათვისებაზე. სწორედ ბუნების ამ გულუხვობაში — სითბომ და ზომიერმა კლიმატმა, მდიდარმა ფლორამ და ფაუნაში განსაზღვრა მეზოლითურ და ნეოლითურ კლიმატში სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მდინარეთა აუზებში მოსახლეობის ასე ფართოდ და მჭიდროდ განსახლება. საცხოვრებელ ადგილად გამოყენებულია ზღვის სანაპირო ვორაკ-ბორცვები და მდინარეთა ტერასები. ნარჩიობული გეგმაზომიერი და სისტემატური სადაზვერვო სამუშაოები ხეობის უძველესი ისტორიის შესწავლის მიზნით მხოლოდ ამ ოკიოდე წლის წინათ დაინყო და იგი მთლიანად ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთანაა დაკავშირებული. ქვის ხანის არაერთი ნამოსახლარი იქნა აღმოჩენილი და შენავლილი. ამათგან საყურადღებო კვირიკეს, კოხის, ხუცუბნისა და ქობულეთის ძეგლები.

ଲେଖ୍ୟ ରିଗ୍ରାନ୍ଟ୍ ଓ ଡାଃଶାହୁତ ବାଜାରିତ୍ୱେଳମ୍ବ ଦେଇବ ମେଥିଲିଯାନ୍ତର ଏବଂ ନ୍ୟ-
ଲିଯାନ୍ତର ନାମିଲୋକାର୍ଥୀଙ୍କୁ, କ୍ଷେତ୍ରିକ୍ୟେ, ଜନବୀର ଓ ବ୍ୟକ୍ତିଗତିରେ ଦେଇଲୁଣ୍ଡିବେ-
ନ୍ତି ଉଦ୍ଧରାଵାଦ ଗାନ୍ଧାରିନ୍ଦ୍ରିନିଲି କ୍ଷୁଲତ୍ତୁର୍ବ୍ୟାପି ଫ୍ରେନ୍ଦୀ ଏବଂ ଗାନ୍ଧାରିନ୍ଦ୍ରିଆ. ମିରୋତାଳୀ
ମିଠ୍ୟେନ୍ଦ୍ରି ଅମିଲା ମେଗଲ୍ୟେବିଲ୍ ଲାଇ କ୍ରେରାସ୍‌ର୍ବ୍ୟାପି ଗନ୍ଧାରିଗ୍ରେବାଶି ଶୁନ୍ଦା ଘେନ୍ତାର, ରାଜ-
ଗାନ୍ଧାର ମନ୍ଦିରାବିନି ପ୍ରେରିନ୍ଦ୍ରାବିଦ୍ଵାରା ଅନ୍ତିମିଶ୍ରନ୍ତି କ୍ରେରିତ୍ରୁରିଗ୍ରେବି ନିର୍ମିଳିଶ୍ଵରାଦ
ମୁଦ୍ରାବ୍ୟାପିବିନିଲା. ଏବଂ ବ୍ୟକ୍ତିଗତିରେ ଉଦ୍ଧରାଵାଦ କ୍ଷୁଲତ୍ତୁର୍ବ୍ୟାପି ଜ୍ଞାନିଲା.
ରାଜୀ ଶ୍ରୀନିବାବା ଡାଃଶାହୁତ୍ୱେଳମ୍ବ ଗାନ୍ଧାରିଗ୍ରେବାଶିଲ୍ପୀଙ୍କ, ଫାରିଦ୍ବ୍ୟାପିଶା ଏବଂ କ୍ଷେତ୍ରିକ୍ୟେ, ଏବଂ



ქობულეთის ნაშოსახლარის არქეოლოგიური გათხრების სატრო ხედი.

Кобулетское поселение. Общий вид археологических раскопок.

ქობულეთის ნაშოსახლარის ნახშირუენი-ვანი ღრმოების ერთი ტიპი.

Один из типов ям с углем на Кобулетском поселении.



მარტო კინტრიშის ხეობაში, არამედ ჰურჯერობით აქარის ტერიტორიაზე საერთოდ არ მიგვიყვლევთა, კვირიკეს, კოხისა და ხუცუძნის ნამოსახლარი რებს შორის უმითავრესია ხუცუძნის ნამოსახლარი, რომელიც გამოიწვია არქეოლოგიური მასალების სიუხვით (სულ 2000 ერთეული). ინვენტორიზაცია ნარმოდგენილია ნუკლეუსები (პრიზმისებრი, კონუსისებრი, ფანჯრისებრი), ანამიტერეცები და ანატერეცები, ღამელები (341 ცალი). ღამელათა მთელი ჯგუფებია (დანისებური, მთელი, დაუმუშავებელი, დამუშავებული, თავები, ბოლოები, თავ-ბოლო გადამტკრეული) გამოვლენილი, რომელიც ძირითადი საიარაღე ნედლეულია. იარაღებიდან აღსანიშნავია დანები, საჭრო-სები (89 ც.), საფხეცები (64 ც.), სახვრეტები (8 ც.); აგრეთვე კომბინირებული სათლელისებრი, ხერხისებრი, დაბილული, სეგმენტისებრი, ისრის-პირისებრი იარაღები და ჩასართისებური მიკროლიტები. ასეთივე მასალები გაცილებით შეცირე რაოდენობით გამოვლინდა კოხისა და კვირიკეს ნამოსახლარებზე. კინტრიშის ხეობის ქვის ხანის ძეგლთა შორის განსაკუთრებული ადგილი ქობულეთის ნამოსახლარს უჭირავს. მისი არქეოლოგიური შესწავლა 1959-1961 წლებიდან იწყება. 1973 წლიდან ამ ძეგლის შესწავლამ ფართო ხასიათი მიიღო და დროგამოშვებით (1974, 1975, 1977, 1980-1981 წ.). ჩატარდა საველე არქეოლოგიური გათხრები.

ქობულეთის ნამოსახლარი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები ძეგლია არა მარტო სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიშლვისპირეთსა და ამიერკავკასიაში, არამედ საერთოდ კავკასიაში. იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ლია ტერასაზე გადარჩენილია უძრავი კულტურული ფენა, რომელიც შეიცავს ათასობით არქეოლოგიურ ერთეულს. ნამოსახლარზე უკვე შესწავლილია და-ახლოებით სამძასამდე კვადრატი (2×2 მ-ზე). გამოვლენილია მრავალი ნახშიროვანფენიანი ორმო, ხის ნაბიძარი ბუდები, რომელსაც მიცელ სიმაღლეზე ირგვლივ რიყის ქვები აქვს შემოვლებული. უაჭვილია, ქვები ბოძის გამაგრების მიხნით იყო ჩაწყობილი.

SO სექტორის მე-13, მე-14, მე-15 და SW სექტორის მე-13, მე-14, მე-15 კვადრატების ნახშიროვან რომელი დაკავირვებამ მოგვეცა ნინას-ნარი დასკვნის საშუალება. აღნიშნულ კვადრატებში ნრიული ფორმის ხის ნაგებობა უნდა მდგარიყო, რაც პირველი შემთხვევაა არამარტო ქობულეთის, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ნამოსახლარებზე. ქობულეთის ნამოსახლარზე გამოვლენილმა მასალებმა შოველგვარ მოაღიდონს გადააჭარბა, უკვე მოპოვებულია 17 ათასზე მეტი იარაღ-ხელსანურ და ანატერეც-ანამტკრევი. ასევე საქმით მდიდარია იარაღთა ასორტიმენტი, მაგრამ ძირითადი მაინც საჭრისები (750 ც.), საფხეცები (250 ც.), სახვრეტები (100 ც.), ჩასართისებური მიკროლიტები (100 ც.) და ღამელები (3400 ც.); იარაღთა დამზადების ნედლეულს ნარმოაღენის კაჟი და ობსიდიანი. კაჟი ადგილობრივად მოიპოვება, ხოლო ობსიდიანი შემოტანილია.

ქობულეთის ნამოსახლარის ახლად მოპოვებული მდიდარი მასალების შესწავლა კიდევ ერთხელ გვარჩმუნებს. რომ ქობულეთ-ხუცუძნის ტიპის ძეგლები თვისობრივად არ განსხვავდება დასავლეთ საქართველოს აღრენეოლითური ძეგლებისაგან, განსაუთრებით ანასეულ I-გან, მაგრამ რეგი



ქობულეთის ნამოხასლარზე აღმოჩენილი
კედება და ობიექტების საფუძველი.

Археологические находки из Кобу-
леского поселения.

თავისებურებაზე აშკარად შეინიშნება, რაც ლოკალური ხასიათის განვალების ნიშნები უნდა იყოს. აյ ჯერ კიდევ უცნობია ნეოლითური კულ-
ტურის ათვის დამახასიათებელ იარაღთა დამზადების ისეთი ახალი ტექნი-
კა, როგორიცაა გახეხვა-გაპრივალება, ქვის სხვადასხვა ეანების (ბაზალტი,
რიყის ქვა) გამოჭუნება. უცნობია აგრეთვე ისეთი იარაღი, როგორიცაა—
კაფისა და ობსიდიანის ტრაპეციები, მართკუთხედები, სეგმენტები. საერ-
თოდ დამუშავებული გეომეტრიული მიკროლითები, ქვის ცულები, სათ-
ლელ-სატეხები, თოხისებრი და პირისებრი იარაღები, ჩაქუჩები, სახებ-საპ-
რიალუბლები, სანაფები და სხვ. სამაგიეროდ განაგრძობენ არსებობას მე-

ზოლითური იარაღები — ბლაგვზურგა ლამელები, ანატკეცის ბოლოებზე
შამოყალიერებული საფხეული საფხეული. გეომეტრიული იარაღი, როგორც ჩანს, დაკ-
მუშავებელ და დამუშავებულ ლამელებს (4000) უნდა შეცვალა.

აღმოჩენილი კაჟისა და ობსიდიანის დამუშავების ტექნიკის
და იარაღების ტიპოლოგიური ანალიზი მიგვანიშნებს, რომ ისინი საქმიან
სიახლოესს იჩინენ გვიანმეზოლითურ ძეგლებათან და გვერდის გავ-
შირდებიან მათ, მაგრამ შეინიშნება მათთან შედარებით განვითარების მა-
ლალი დორე.

კინტრიშის ხეობის ქობულეთ-ხუცუბნის ტიპის ნამოსახლარების შეს-
ნაელა საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ ისინი ერთფენოვანი, სრუ-
ლიად მსგავსი და ერთგვაროვანი ძეგლებია, არც მათი ქრონოლოგიური გა-
გათშვა შეიძლება და კელავ გვიანმეზოლითურიდან აღრენეოლითურშე
გარდამავალი საფხეურით უნდა იქნას დათარიღებული.

ქობულეთის ნამოსახლარებ უკვე აშკარად შეინიშნება, რომ მოსახ-
ლებია აქ მკვიდრადაა დასახლებული და დიდი ხნის განმავლობაში უხ-
დება ერთსა და იმავე გარემოში ცხოვრება. მართალია, შემგროვებლობას
ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მაგრამ ამასთან შეიმჩნევა
მონადირეობის როლის მკვეთრი ამაღლება, რაზედაც მეტყველებს აქ მო-
პოვებული საჭრისებისა და საფხეულების სერიები. აღნიშნული იარაღები
უცილობლად მოუთითებენ ნადირობისა და მესაქონლეობის ერთ-ერთი
ძირითადი პროფესიის — ტყავის დამუშავების მოთხოვნილების გაზრდა-
ზე. მდ. კინტრიშის სანაპიროს გაშლილი ტერასული გარემო და გორაკ-
ბორცვიანი ზონა წინა პირობას ქმნიდა, რათა აქ მეზოლითურიდან ნეო-
ლითურზე გარდამავალ და ნეოლითური კულტურის აღრეულ საფხეურზე
დაწყებულიყო გარეული ცხოველის მოშინაურება და საფუძველი ჩაყროდა
მესაქონლეობასაც. განსაუთრებული ადგილი უნდა დაეჭირა მეთევზეო-
ბას, რომელიც სხვადასხვა საშუალებით უნდა ნარმოებულიყო; თუ ადრე
მეზოლითში მეთევზეობის ძირითად იარაღს შები და ჭვილთი ნარმოად-
გენდა, გვიან მეზოლითისა და ადრეულ ნეოლითში უკვე გამოიყენება ანექსი,
გოდორყურა და ე. ნ. კოკისა (ნეოლითისაგან მოქსოვილი სპეციალური კა-
ლათი) და სხვა საშუალებანი. ქობულეთის ტერასაზე დღესაც შემორჩენი-
ლია წითელი ხე, რომელიც შესანიშნავ ნედლეულს ნარმოადგენდა მრავა-
ლი იარაღის, მათ შორის ხელშუბისა და ისრისპირის დასამზადებლად.
თევზჭერის უძეველესი ხერხები ეთნოგრაფიულად დღესაც დასტურდება კინ-
ტრიშის ხეობაში.

ქობულეთ-ხუცუბნის ტიპის ნამოსახლარებისათვის უცხო არ უნდა
ყოფილიყო ტომობრივი გაერთიანება, რომელიც ბინადარ (ცხოვრებას
ენევა და შემგროვებლობასთან, მფინარისეული საკვეპი რესურსების გამო-
ყენებასთან ერთად საფუძველს უყრის ზღვის მფიდარი საკვეპი რესურ-
სების ათვისებასაც).

კინტრიშის ხეობის უძეველესი ისტორიის შემდგომი შესწავლა უეჭვე-
ლია ნათელს მოპფენს ჯერ კიდევ ბურუსით მოცულ მრავალ საკითხს.



სახლის არაოლოგიური ძირის სამსახური-დასავლები საქართველოში

უახლესი ნლების არქეოლოგიურმა კელევა-ძიებამ, რასაც ბათუმის სამეცნიერო-კულტურობი ინსტიტუტი არქეოლოგიური კულტურის ცენტრთან კოორდინაციაში ანთოლციელებს დაგვიდასტურა, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ის ტერიტორია, რომელიც მოქცეულია ჭორობ-აჭარის წყლისა და სუფსა-გუბაზეულის აუზებს შორის, წარმოადგენდა დასავლურ-ამიერკავკასიური კულტურის ჩასახეა-ფორმირება-განვითარების ერთ-ერთ ნამყენ რეგიონს, კოლხური ცივილიზაციის ფორმირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერას, შეუა საუკუნეების საქართველოს დაწინაურებულ პროცესიას.

გამოირევა, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო წარმოადგენდა ძველი ოიკუმენის ისეთ ნანილს, სადაც მიმდინარეობდა ანთოლპოდენების პროცესი, შემგროვებელი მეურნეობიდან მნარმობლურ მეურნეობაშე გადასვლა, რამაც ე. ნ. „ნეოლითურ ჩევოლუციაში“ ნახა გამოხატულება. რეგიონის ძირითადი მდინარეების (სუფსა, ნატანები, ჩოლოქი, კინტრიში, კინკიშა, ჭორობი, აჭარისნებალი და ა. შ.) ტერასებზე გამოვლენილია და ისნაელება გვიანმიეროლითური და ნეოლითის სხვადასხვა ეტაპის ნამოსახლარები და სადგომები. უკანასკნელთაგან განსაუტრეპით საინტერესო ნეოლითური სადგომი აჭარის მაღალმთიან ზოლში, კურ. ბეჭუმის მიდამოებში. ე. ნ. მთური ნეოლითის ეს ძეგლი, იმედს იძლევა მოვცეს გასა-დები დასავლურ-ამიერკავკასიური ნეოლითური ცივილიზაციის ზოგიერთ ჯერ შესწავლელი საკითხის გაგებისათვის.

აფრესამინათმოქმედო კულტურის ძეგლთაგან განსაუტრებულ ჯერადლებას იქცევს ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარი, რომელიც კობულეთის აღმოსავლეთით არსებულ ტორფნარშია განლაგებული.

აღნიშვნული ძეგლის არქეოლოგიური დაზერებისას მოპოვებული მასალები და მონაცემები წარმოადგენს პირელხარისხოვან წყაროს ტ. ნ. 17 ათასნეულში შავზღვისპირეთში მიმდინარე გეომორფოლოგიური პროცესების, ადრესამინათმოქმედო ხანის სამეურნეო კულტურის, კერძოდ, ლითონის ჩამოსხმის, მეთუნეობის, მინათმოქმედების, ხის დამუშავების, შემგროვებლობის, მშენებლობის ხელოვნების, პროდუქტის შენახვისა და გადამუშავების ხერხების შესწავლისათვის. ისპანის ადრებრინჯაოს ხანის ტორფქვეშა ნამოსახლარი თავისი ხასიათით ჯერჯერობით უნიკალური ძეგლია მთელი კავკასიისათვის, მაგრამ მისი შესწავლა მოითხოვს ზოგიერთი ტექნიკური ამოცანის გადაწყვეტასა და დაკავშირებულია დამატებით, საქმაოდ მნიშვნელოვან ხარჯებთან.

ისპანის ტორფქვეშა ნამოსახლარის სრული შესწავლის შემთხვევაში, ჩვენ მიეიღებთ თითქმის ამომწურავ ინფორმაციას კოლხეთის ბარში ად-

რეპრინჯაოს ხანაში არსებული დასახლებების ტოპოგრაფიაზე, მშენებლობის ხელოვნებაზე და ადამიანის საქმიანობის სხვა მხარეებზე. ამგვარი კითარება აიხსნება იმით, რომ ტორფი ნარმოდგენს იდეალურ მაკრინის ვებელ საშუალებას და აქ ყველაფერი დაცულია თითქმის იმგვარი სახით როგორც ჩვენმა ნინაპრებმა მიატოვეს.

კურორტ ქობულეთის შემოგარენი საყურადღებოა არამარტო იმით, რომ აქ დაცულია ისპანის აღრებრინჯაოს ხანის ტორფქვეშა ნამოსახლარი, არამედ იმითაც, რომ აქ კომპაქტურად ნარმოდგენილია არქეოლოგური ძეგლების მთელი კომპლექსი. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული არიან როგორც გენეტიკურად, ისე ქრონოლოგიურად: მრავალურიანი დასახლებები „ნამჭედური I“ და „ნამჭედური II“, აგრეთვე სხვა არაერთი სინქრონული სამოსახლო, რომელიც თავმოყრილია ჩოლოქომისამურის წყალსაყარის მიდამოებში, ფიჭვარ-ქობულეთის ანტიკური ნაქალაქარი თავისი ნეკროპოლებით (ამთვან განსაკუთრებულ ინტერესს იწყებს ბერძნული თემისა და კოლხური თემის ძვ. ნ. V საუკუნის სამაროვნები, აგრეთვე, ელინისტური ხანის სამაროვნები ანტიკური ქალაქის სხვადასხვა უბანზე) შეადგენენ ამ თავისებური არქეოლოგიური უნიკურის განუყოფელ ნაწილს.

რთული სტრატიგიკურის მქონე ასე ადრეული, პირველსარისხოვანი ძეგლების თავმოყრა ერთ მიკრორეგიონში ქობულეთ-ჩოლოქის არქეოლოგიურ ძეგლთა ჯგუფს განსაკუთრებულ მეცნიერულ ლირებულებას აძლევს. შეიძლება გადაუჰქარებლად ითქვას, რომ აქ საქმე გვაქვს ძეგლთა ჯგუფთან, რომელიც ნამყვანი მინიჭებულობისაა დასავლეთ ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის მიმდებარე რეგიონების ყოფისა და კულტურის შესწავლისათვის. ნათქვამი განსაკუთრებით შეეხება პერიოდს, რომელიც ადრეული რეინის ხანადაა ცნობილი.

სწორედ ამ პერიოდში, როგორც უკანასკნელი ნლების გამოკელევებმა ცხადყო, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და საერთოდ ძეველი კოლხეთის მთისწინა ზოლი ნარმოდგენდა რკინა-ფოლადის მოპოვების ძირითად სანარმოო ცენტრს კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთში. დასავლეთ საქართველოს მთისწინა ზოლში გამოკლენილია და ისნავლება აფრერკინის ხანის კოლხური სამთო-მეტალურგიული ცენტრის 4 კურა. მათგან 3 კურა დადასტურებულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში — აჭარა-გურიის ტერიტორიაზე (ჭორობ-აჭარისწყლის, ჩოლოქ-ომისამურისა და სუფსა-გუბაზეულის ხეობებში). ამასთან, აქვე აღმოჩენილია მსოფლიოში ჯერჯერობით უძველესი რკინის სადნობი სახელოსნო, რომელიც ძვ. ნ. XIV-XIII საუკუნეებით თარიღდება.

ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სპეციალისტთა ეს მიღწევა უკანასკნელი ნლების იმ უმნიშვნელოვანეს აღმოჩენათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა მეცნიერული ღირებულების გადაფასება შეუძლებელია.

კოლხური სამთო-მეტალურგიული ცენტრის აღმოჩენა, ნარმოების მასშტაბებისა და ძირითადი ქრონოლოგიური ჩარჩოების, ნედლეულის წყაროებისა და ძირითადი ტექნოლოგიური ხერხების განსაზღვრა საშუა-



ძელულთა ნამოსახლარი „ნაშედუ-
რი I“ 1 ფერი ხანძარში დაღუპული ძე-
ლური ხასლის ნაშთი (ძგ. წ. II ათასწევ-
რის შემდეგ)

ჩემის დანართის სტელის კორიბი
ტემპერატურა (ძგ. წ. I ათასწევრის
შემდეგ)

ქარანის ხელოვანობის სამართლის
მიერ 1950 წლის 1 მარტის დაცვითი მუ-
ზის მიერ დაღუპული ძელური ხასლის
ნაშთი (ძგ. წ. II ათასწევრის შემდეგ).

Железнодорожная мастерская в
Чирохском ущелье (начало I тыс.
до н. э.).



ლებას გვაძლევს ახლებურად გავიაზროთ არა მარტო კავასიის, არამედ ახლო აღმოსავლეთისა და ეგვიპტის სამყაროს ხალხთა ძველი ისტორიის მთელი რიგი საკითხები.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნარსულის შესწავლაში უკანასკნელი წლებში საპატიო აღგილი დაკავა აჭარის მაღალმთიანი ზონის არქეოლოგიურმა კვლევამ, რაც ძირითადად ხორციელდება საერთველოს არქეოლოგიურმა კვლევირის აჭარის ორგანიზაციასთან თანამშრომლობით. სხალთა და ვერნები, თხილვანა და ვარდციხე, აგრეთვე, ზოგიერთი სხვა, ის ტეგლებითა, რომელთა არქეოლოგიურმა კვლევამ მეტად ძვირფასი დამატებითი ინფორმაცია მოგვცა აჭარისწყლის ხეობის მოსახლეობის ყოფასა და კულტურაზე შეა საუკუნეებში. მიგნებულია და აღრიცხული წინაუროდალური თუ ფეოდალური ხანის დასახლებების, ციხეების, საყდრების (კულებიების), სამეურნეო ნაგებობებისა თუ სამეურნეო დანადგარების ნაშენები და ა. შ. მართალია ყველაფერი ეს დასაწყისია, მაგრამ აჭარისწყლის ხეობის არქეოლოგიური შესწავლისას მიღებული მონაცემები იმდენად მრავლისმთემელი და მნიშვნელოვანია, რომ უახლოეს წლებში ჩვენ აქ, როგორც ჩანს, მონმე ვიქნებით არაერთი არქეოლოგიური „სენსაციისა“, არაერთი უნიკალური აღმოჩენისა.

ამ მოელე მიმოხილვის დასასრულს შეიძლება აღვნიშნოთ, რომ აჭარის ასპრ ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოების გაშლა და კულტურათვის გეგმური, სისტემური ხასიათის მიცემა ძირითადად უკავშირდება ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რომელიც სულ ორიოდე ათეული წლის წინ დაარსდა.



ფილოსოფიური ციტატების ანთიური ხანის ნაქალაქარი

კოლხეთის ზღვისპირა ზოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უძველესი სი საქალაქო ცენტრი ფიქტურის ნაქალაქარი მდებარეობს მდ. ჩილოექისა და ოჩხამურის შესართავთან. ფიქტურიმა მკვლევართა ყურადღება 50-იანი წლებიდან შემთხვევით აღმოჩენილი განძებით მიიქცია, რომელმცი ნარმოდგენილი იყო ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი ელექტრუმის სხივანა საყურები, საერთაშორისო მონეტა ქიშიკინი და განსაკუთრებით დიდი რაოდენობით კოლხური და მილეტის ახალშენ სინოპეს ვერცხლის ფულები. პირველ ხანებში ფიქტურისა და მის მიღამოებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ განახორციელა მცირე მასშტაბის სადაზერვო სამუშაოები; ხოლო 60-იანი წლებიდან, აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კულევითი ინსტიტუტის გახსნის შემდგომ, სამხრეთ-დასაცავები საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიცია ყოველწლიურად ანარმობს თანმიმდევრულ გეგმაზომიერ სავალე არქეოლოგიურ კულევა-ძიებას მხარის ისტორიული ნარსულის შესწავლის მიზნით. დღეისათვის მოპოვებული მდიდარი და მრავალფეროვანი ნივთიერი კულტურის ძეგლების მიხედვით დასატურდება, რომ ქობულეთ-ფიქტურის მიღამოებში საქალაქო ცხოვრების ნარმოქმნა-განვითარების მძღვრი ნინამძღვრები არსებობდა. ქობულეთის რაიონის გორაკ-ბორცვოვანი ზოლი დასახლებული ყოფილა ჯერ კიდევ საკაცობრიო ცივილიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფეხურიდან, ახალი ქვის ხანიდან. ადრებრინჯაოს ეპოქაში ისპანსა და მის მიღამოებში ათვისებული ჩანს დაბლობი ადგილებიც, ხოლო შუა ბრინჯაოს ხანიდან მძღვრი დასახლებები ჩნდება მდ. ჩილოექისა და ოჩხამურის შესართავთან. ვრცელ ტერიტორიაზე შესანიშნავად დაცული კულტურული ფენების მიხედვით დგინდება, რომ გვიანბრინჯაო-აღრუერკინის ხანაში აქაურ მკვიდრთ პქინიათ ჯარგვალის ტიპის ნაგებობანი. სამშენებლო მოედნები თუ ეზოები ზოგჯერ რიყის ქვებითა მოეირნებული. სამეურნეო საქმიანობისა და ხელოსნური ნარმოების მრავალპიროვილიან დარგთა შორის ნამყვანი ადგილი უკავია მინათმოქმედებას, მესაქონლეობას, თევზჭრას, ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიას, მეთუნეობას, რთვა-ქსოვას და ა. შ. საკვლევი ტერიტორია, ე. წ. „ქობულეთის ქვეყანა“ დასავლურ-ქართული (კოლხური) კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერათაგანს ნარმოადგენდა.

სანარმოო ძალების განვითარებასა და ნარმოებით ურთიერთობაში თვალსაჩინო ძვრები ხდება ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან. უძველესი სამოსახლო თანდათანობით ქალაქური ტიპის დასახლებად იქცევა, რომელსაც საკმაოდ ვრცელი ტერიტორია უჭირავს (კლასიკურ ხანაში დასახლებით 40-50 ჰა, ხოლო ელინისტურში — 60-70 ჰა). ძვ. წ. V-III საუკუნეები ფიქტურის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის ხანაა. ამ

პერიოდისათვის ტრადიციული ჯარგვალური ტიპის შენობები თანდათანიბით იცვლება ბათქაშის სქელი ფენით შელესილი ძელური ნაგებობებით, რაც განსაკუთრებით ხელსაყრელი ჩანს აქაური ნესტიანი გარემო პირობებისათვის. ელინისტური ხანისათვის ინარმობა ადგილობრივი კულტურის მიტი. კულტურულ ფენებში ნანახია სინოპური და პელაკლეური კრატიტის ფრაგმენტებიც.

ანტიკური ხანის კულტურულ ფენებში ხშირად ჩნდება მინათმოქმედებასთან, მევენახეობა-მედვინეობასთან, თევზჭერასთან, ლითონის ჩამოსხმასთან, მეთუნეობასთან, რთვა-ქსოვასა და ხელოსნური ნარმობების სხვა დარგებთან დაკავშირებული ინვენტარი. გამსხვილებულ მეურნეობასა და ხელოსნურ ნარმობებაში შექმნილი პროდუქციის ერთ ნაწილს სასაქონლო ხასიათი უნდა პქონოდა. ბუნებრივია, სხვადასხვა სახის ნანარჩინებითხოვნილების გაზრდა მნიშვნელოვნად განაპირობა აღმოსავლეთ შავიზღვისინერთის ამ რეგიონის საქმაოდ ადრეული საფეხურიდან (გვიანარქაული ხანიდან მაინც) საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში ჩაბმამ. ფიჭვარის ანტიკური ხანის ნაქალაქარზე არქოლოგიური გათხრებისას ხშირად ჩნდება სადა იონური, ატიკური შავ თუ ნითელფიგურული და ორნამენტირებული ვაზები; ქიოსის, ლესბოსის, სამოსის, თაზოსის, მენდეს, პერაკლეის, ბიზანტიონის (?). სინოპეს, პანტიკაპეონის ამფორები. ელინისტური ხანისათვის დიდი რაოდენობით ინარმობა ადგილობრივი (კოლხური) ამფორები. საერთაშორისო ურთიერთობაში აქაურ მკვიდრთა მნიშვნელოვანი, როლის მანიშნებელია ისიც, რომ ინტერლოკალური მონეტები (ქიზიკინები) ჯერვერობით ცნობილია მხოლოდ ფიჭვარიდან. ყურადღებას იქცევს ასევე პანტიკაპეონის, ნიმუშების, სინოპეს, ამისოსა და ალექსანდრე მაკედონელის ფულები. განძებში და დახურულ კომპლექსებში (სამარხებში) ხშირად ჩნდება ადგილობრივი მონეტები — კოლხური თეთრები. ფიჭვარიდანვე მომდინარეობენ ადგილობრივი მონეტების უნიკალური უნინესი ტიპები ე. ნ. პერიტრიტრატემორიონები.

აქაური სასაქონლო ხელოსნური ნარმობების გამოკვეთილი დარგია ფეიქრობა. ხშირად ჩნდება კეირისტავები, ვურტიკალური საქსოვი დაზგის ძაფების დასაჭიროებული გამოყენებული თიხის პირამიდული სანაფები და თვით ქსოვილის ნაშთებიც კ. აშეარაა, რომ სელი და სელის ნანარმი ექსპორტის საგანს ნარმოადგენდა.

ანტიკურ ხანაში აგრძელებს ადრინდელ ტრადიციებს კერამიკული ხელოსნობა. იქმნება ახალი ფორმები. ფიჭვარში ოქრომჭედლობის ლოკალური კურაც უნდა არსებულიყო.

ფიჭვარელთა სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურისა და რელიგიური შეოფლმხედველობის შესწავლისათვის მდიდარი და მრავალფეროვანი მასალებია მოპოვებული ნაქალაქართან უშუალოდ დაკავშირებულ ვრცელ სამაროვანზე. პირველ რიგში ალსანიშნავია ძვ. ნ. V ს ადგილობრივი კოლხური მოსახლეობის სამაროვანი, სადაც გამოელენილია 170-მდე სამარხი. ცალკეულ-ეკომპლექსებში ნარმოდგენილი იყო მაღალი ოსტატობით შესრულებული და მდიდრულად ორნამენტირებული ადგილობრივი კერამი-




თესლის კოლხური მანაჩა.
Колхская глиняная фляга.



ბრინჯაოს ფიგურა კვრის გამოხატული
ბოთ.

ოქროს კურნაჟიდები.
Золотые серьги



კიზიკის ნიშა კლიტებ გამოხატული
ბოთ.

კიზიკის მინიატურა კლიტებ
კ. 1173.





Вазы из стекла из погребения.
Финикийская стеклянная ойнохоя.



Общий вид погребения.

კული ნაწარმის; მინის, ვერცხლის, ოქროსა და ქარვის მძივებრი რეინისა და ვერცხლის სამაჯურები; ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ყურსაკიდები, ბეჭდები, ზარაები, კოლხური ფულები, უცხოური ნაერთბანის ჰავაშ. ამ მონაპოვარს დიდი მნიშვნელობა აქვს კლასიკური ხანის ჭრლზურა კულტურის შესწავლისათვის.

ფიჭვნარის ძ. ნ. V ს კოლხური სამაროვნის მიხედვით დასტურდება, რომ უკვე ძ. ნ. V ს I ნახევრისათვის ამ რეგიონში კლასებისა და კლასობრივი საზოგადოების ფორმირების პროცესი უკვე დასრულებულია. სახეზეა ვაჭართა ფენაც.

ძველი კოლხეთისა და ანტიკური სამყაროს ურთიერთობათა ხასიათის გარკვევისათვის უძვირფასების მასალების მომცემია ფიჭვნარის ძ. ნ. V-IV სს ბერძენ მოახალშენებთა სამაროვნის გათხრები. სულ შესმავლილია რამდენიმე სააღაპო მოედანი და 120-მდე სამარხი. ელინთა სამაროვანი ჯერჯერობით ერთადერთია, ამიტომ აქ მოპოვებული მასალები ხშირ შემთხვევაში უნიკალურია ქართული არქეოლოგიური სინამდვილისათვის. სამარხებში დიდი რაოდენობითაა ნარმოდგენილი ეგეოსური სამყაროსა თუ საბერძნეთის მატერიული ცენტრის ათენის სადა თუ მოხატული ლან-ნაები; თაზოსის, ქიოსის, მენდესა და პერაკლეს ამფიონები; ოქრო-ვერცხლის სამყალები, ტორევტიკის ნიმუშები; ქიზიკის, პანტიკაპეონისა და ნიმფების მონეტები; ფინიკიური ფერადი მინის ჭურჭელი და ა. შ.

მდიდარი და მრავალფეროვანი ნივთიერი კულტურის ძეგლები ნარმოაჩინა ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნის გათხრებმა. დღეისათვის გათხრილია 130 სამარხი, დიდი რაოდენობითაა მოპოვებული კოლხური ერამიკის ტრადიციული და ახალი ფორმები, ნაირნაირი სამყალები, კოლხური და სინოპური მონეტები და ა. შ. დასტურდება, რომ ძ. ნ. IV საუკუნიდან ფიჭვნარი განიცდის ახალ აღმავლობას, აფართოებს ურთიერთობას პონტოს სანაპიროს ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი ჩრდილო და სამხრეთ შევიზლებისპირეთთან, თანდათანობით ლრმავდება ელინიზაციის პროცესი.

ფიჭვნარის ნაქალაქარსა და სამაროვანშე გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლები უძვირფასებს ისტორიულ წყაროს ნარმოადგენენ ძველი კოლხური კულტურის გენეზისისა, კოლხეთში საქალაქო ცხოვრების განვითარებისა და ანტიკურ სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკურ თუ კულტურულ ურთიერთობათა შესწავლისათვის. საქართველოს ზღვისპირეთის ამ ერთორთი უბრნყინვალესი ძეგლის არქეოლოგიური გათხრები გრძელდება.

ვართა ვაშა ვაშა



აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ხულოს რაიონის უნიკულ გერნების (ხიხანის ხეობა) საზაფხულო საძოვრებიდან ჩამოტანილი მონოლითი, რომელიც წარმოადგენს ბაყაყის გამოსახულებას. მისი სიგრძე 75 სმ-ია. ბოლოსკენ ვიწროვდება და წამახვილებულია. ეტყობა, მინაში უნდა ყოფილიყო ჩაფლული დაახლოებით 20-25 სმ-ზე. ზემო წანილი სვეტისთავს მოგვაგონებს. მისი წინა წანილი მომრგვალებულია გვერდებზე და ქანდარის შთაბეჭდილებას ტრევებს, რომელზედაც სვეტზე მჯდომი ცხოველს თავისი ოთხი თათი აქვს ჩავლებული. ცხოველს თავი მრგვალი და ოდნავ ბრტყელი აქვს და ბაყაყის თავს ჰგაეს, მას ფართო პირი, ორი ფიდი თვალი (ფოსო), ხოლო იქ სადაც ბაყაყს ყურის ბორცვები აქვს არის ორი ჩაღრმავება. ცხოველის გამოსახულება პრიმიტიულია, კიდურები უფრო ხელის მიუგავს, მაგრამ მისი თავის ფორმა გვატიქებინებს, რომ იგი მაინც ბაყაყი უნდა იყოს. რეგიონში, სადაც მონოლითია მოპავებული, გვხვდება ქვეაკებიც.

ბაყაყის ეს ქანდაკება უნდა ეკუთვნოდეს ვეშაპოიდებს და კავშირი აქვს ვეშაპის კულტთან. ვეშაპოიდებს განეკუთვნება ყველა ზოომორფული ლეთაება, ვინც ან გარეგნულად ჩამოგავს ვეშაპს ან იმავე ფუნქციას ახრულებს. ვეშაპები, გიგანტური თევზების ქანდაკებები მრავლად მოიპოვება სომხეთში, გელამის მთებში. იგი პირველად გამოიკვლია ავალ. 6. მარშა. ამ ვეშაპთა სიმაღლე 2,5-5 მეტრია. ამ აღგილს სიმხეპი „ვეშაპერის“ ეძახიან და 6. მარშაც ამ მონოლითებს ვეშაპები უნდოა. მოგვიანებით მსგავსი ქანდაკებები აღმოჩინეს სამხრეთ საქართველოში, ჩრდ. კავკასიაში, ჩრდ. მონგოლეთში.

ვეშაპებისა და ვეშაპოიდების ასაკს მეცნიერები განსხვავებულად განსაზღვრავენ. აკადემიკოსი 6. მარი ფიქრობდა, რომ ისინი ჩვენ ნელთალრიცხვამდე V-IV ათასნლეულში არიან შექმნილი. ხოლო აკადემიკოს პ. პიოლინიც ეს თარიღი I ათასნლეულში გადმოაქს. მეცნიერთა უმრავლესობა მაინც ფიქრობს, რომ ეს მონოლითი მეგალითურ კულტურას ეკუთვნის და გამოქანდაკებულია II ათასნლეულში.

ვეშაპებზე ამოკვეთილია სხვადასხვა ცხოველთა გამოსახულებები, ხარის, ვერძის, გველის, ყარყატის ან ნეროს, მგლის ან ძალლის, აგრეთვე კლაკინილი, ზიგზაგისებრი ხაზები, რომლებიც წარმოადგენ სიმბოლოებია. ხშირად ეს ხაზები მთავრდება გველის თავით რაც გველისა და წყლის კავშირზე მიგვითითებს, იგი წყლის, მდინარის მოძრაობას უნდა გადმოსცემდეს, ხოლო თვით ვეშაპი წყალთა მბრძანებელია, იგი წყლის პირქიონს განაგებს.

საქართველოში მცხოვრებ ტომებს შორის შორეულ წარსულში ფართოდ იყო გავრცელებული თევზის კულტი. ქართულ ზღაპრებში ხშირად გვხვდება თევზი, ზღაპრებიდან ჩანს, რომ ზოვეებ თევზაობა ტაპერიტულია. აჭარელთა წარმოდგენით: „ყველა თევზი დეიჭირება, გარდა ირაგუ-

ვერნების ვეზაპოდი.
Вешаный из Вернеби.



ლისა, იმიდან ადამიანი გაშენდა და ამიტომ იგი არ იჭმება". ეს და კიდევ ზოგიერთი სხვა გადმოცემა გვაფიქრებინებს, რომ ქართულ კოსმოგონიაში თევზის დიდი ადგილი ეჭირა. ზღაპრებში შემორჩენილია მითოლოგები: თევზის ფხაზე ან გველის ტყავზე ამონის ხე, ხე კი მითოლოგიაში სიცოცხლის სიმბოლოა. თევზი გამოსახულია ბრინჯაოს საკულტო ცულებზე. ძველი ქართლში თლის სამაროვნების გათხრის დროს მოპოვებულ ცულზე ორ დაკლაკნილ გველს შორის მოთავსებულია თევზები, რაც მიგვითითებს ცეკვისა და გველის კავშირზე წყლის კულტთან, ეს კი თავის მხრავ ნაყოფიერების კულტთანაა დაკავშირებული. გველის, როგორც ნაყოფიერების ლვთაების კულტი გავრცელებული იყო საქართველოს ცველა კუთხეში. საინტერესოა ყობანურ სამაროვანში აღმოჩენილი საკულტო ცული, რომელზეც მშევილდოსანი ვეშაპთმებრძოლი, შვიდი გველით გარშემორტყმული ვაშლის ნაყოფის მოსაპოვებლად იბრძვის. აյ ცველები დარაჯობენ უკავდავებისა და ნაყოფიერების მომცემ ვაშლს. გველი ან გველებაპი (დრაკონი) ქართულ ზღაპრებში წარმოდგენილია წყლის მცველ არსებათ. შეიძლია ისინი ადამიანებს არ აძლევენ წყალს, სანამ მსხევრპლად არ შეს

ნირაუენ ქალს. მსგავსი სიუჟეტები, სადაც ვერები და გველეშაპები კოსტუმებისათან და წყალთან არიან დაკავშირებული, მსოფლიოს ხალხთა მიერებსა და ზღაპრებში, რელიგიურ რწმენა-ნარმოდგენებშიც გვხვდება. ამარტოლ თრიამენტებსა და ხალხურ ავეჯის მორთულობაში გვხვდება გველიგია გამოსახულება, ზოგიერთი მათგანი მითოლოგიურ სიუჟეტებსაც შეიცავს.

საქართველოში აღნიშნულია აგრეთვე ჯოვოს კულტი. იგი განსაკუთრებით გავრცელებული იყო თბილისში. ჯოვომობის დღეს თბილისელი უშვილო დედაკაცები მტკურისპირა კლავებზე შაქარყულს უწყობდნენ ჯოვოებს და განაყოფიერებას ევედრებოდნენ. ხვლიკის გამოსახულება ქოროხის აუზში ზიარეთის ტბასთან აღმართულ ვეშაპებზეც გვხვდება.

თევზი, გველი, გველეშაპი, ხელიკი, ნიანგი, კუ და საყაჟი ნყლის კულტთან დაკავშირებული ლეთაებები არიან, სხვაგვარად მათ ხორნურ (მინის, მანისევეშეთის, ქვეპანელის) ლეთაებებს უწოდებენ. მათ გამგებლობაშია ვეშა-წყარო ანუ მაცოცხლებელი, სიცოცხლის მომნიჭებელი მინისევეშა ნყალი.

პაყაჟი ხშირად გვხვდება ქართულ ხალხურ ზღაპრებში. მართალია იგი არაა გამოსახული ვეშაპებზე, მაგრამ მისი გამოსახულება არის სამთავროს ნეკროპოლის გათხრების ფროს მოპოვებულ ბრინჯაოს ქამარზე, სადაც იგი გამოსახულია კომპოზიციაში თევზთან ერთად, ხოლო პლიონების ცნობა, რომ გომბერძოს ბელის შესასვლელთან კიდებდნენ, მიგვათოთებს ბაყაჟის პირდაპირ კავშირზე ნაყოფიერების კულტთან. ნაყოფიერების კულტი კი უკავშირდება ნყალს. ამაზე მეტაველებს მოულს საქართველოში გავრცელებული გამოთქმა: ბაყაჟი არ მოკლა, განვიძებება, ქართულ ზღაპარში „სანყალი კაცის ზღაპარი“, არის ისეთ ადგილი. სანყალი კაცი ვაჭრებმა ნყლის მოსატანად გაგზავნეს ნყარიზე, მაგრამ ნყალს დარაჯობს შეიარაღებული ბიჭი. რომელსაც ხელში ბაყაჟი უჭირავს და ნყაღზე მომსვლელი ეკითხება: მე ვჯობიარ თუ ბაყაჟი. პასუხშე შენო, იგი მომსვლელებს ნყალს არ აძლევს, სანყალმა კაცმა კი უპასუბა, ბაყაჟით, ბაყაჟი განკუდა და მზეონუახავად იქცა, ხოლო ნყალი გახთავისუფლდა. ბაყაჟი ქალის სახით გვხვდება აქალურ მითში, სადაც ქალღმერთი იშთარი თამაზის დასახსნელად ბაყაჟის სახით ჩადის ქვესენელში. დ. შენგვლიას აზრით ბაყაჟი იშთარის ერთ-ერთი ზომომოქული განსახიერებათაგანია. ზღაპრებში უიგურიერებს აგრეთვე კოჭლა ბაყაჟი, რომელიც შემდგომ რაშად იქცევა. აქ ბაყაჟი ნყლის ტანენად გვევლინება. საინტერესო ზღაპარი მზის დედის სერიოდის. ხის გახმობის მიწეზი ბაყაჟია, რიმლის მოკვლის შემდეგ უმრავი ნყალი გადმოიღვრება და ხე ისევ აყვავდება. აქ საინტერესო მითოლოგიმა ბაყაჟი—ხე, რომელიც პარალელურია მითოლოგიმებისა თევზი — ხე, გველი-ხე.

თავდაპირველად ხორნური ლეთაებები საიკოს სანყისი უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდგომ ბოროტ ლმერთებად, დევებად იქცნენ. ასპარეზზე გამოჩენენ ვეშაპებრძოლი გმირები. ეგვიპტეში ლმერთი პორი ებრძევის ნიანგ სეთს, მარდუქი აქადში — ცველ თამათს, წმ. გიორგი და ამირანი გველეშაპს. ამირანი გველეშაპ ქარცეცხლის გარდა, რომელსაც იგი

შიგნიდან გამოჰქვეოს მარტუქის მსგავსად, ებრძეის ფევებსაც კაზთო-პომორფიზებულ დრაკონს, რომლებიც თავისი ნინამორბედების შეგავსაღ მსხვერპლის შეუნირავად არ აძლევებ წყალს ადამიანს. საინტერესოა, გა-ყაყაყ დევის სახელი, იგი გაორკეცებული ფურისაგან შედგება და მცსაკვირ მსგავსბას იჩინს ბაყაყთან (ბაყ-ბაყ) თუ ეს ასეა, მაშინ ეს დევი ანთრო-პომორფიზებული ლვთაება ბაყაყია.

ჩვენს მუზეუმში ნარმოდგენილი მონილითი ერთადერთია ვეშაპოი-დებს შორის. ცნობა მსგავს ქანდაკებებზე არ მოიპოვება. მონილითის და მასთან დაკავშირებული რჩმენა-ნარმოდგენის შესწავლა გარკვეულ სიც-ხადეს შეიტანს ქართული მითოლოგიის შესწავლაში.

ალექსანდრე დავითაძე

კაბინეტი

კაბინეტის შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მცირე ცნობები მოიპოვება. სიტყვა „კაბინი“ ვხვდებით „ნიკორნშინდის“ სი-გელში, აյ კაბინი მოხსენიებულია მარცვლეულის საწყაოდ. „ფეტკ კაპინი ე და ყანაი ექსისა კაბინისა სათესავი“. საბას განმარტებით „კაბინი სამი კოდი, გინა სამი გრივი, სადამდე ათს კოდს კაბინად იტყვიან“. ივ. ჯავახი-შვილს საბას ეს განმარტება მცდარად მიაჩინია, იგი კაბინს ერთ კოდს უთანაბრებს და გამოთვამს მოსახრებას, რომ კოდმა ქართულ მეტრო-ლოგიაში კაბინი შეცვალა და მისი აღგილი დაიკავა საწყაოთა სისტემაში. 6. ჩუბინაშვილის ცნობის მიხედვით, „კაბინი საწყაოა მარცვალთა, სამი გრივი და ზოგგან ათას კოდად იანგარიშების“. პურეულთან დაკავშირებულ ინვენტარში, ს. კაკაბაძის ცნობით, კაბინი XVI საუკუნის დასა-რულს დადასტურებულია ლეჩხუმში, ამფამად კი ლეჩხუმის მოსახლეო-ბის სამურნეო ყოფაში აღარ გვხვდება².

ხალხური მეტროლოგიის ეს ერთეული საქართველოში ფართოდ ყო-ფილა გავრცელებული VI-XVI საუკუნეებში, დასავლეთ საქართვე-ლოს იგი XVIII საუკუნის დამდეგამდეც შემოუნახავს. აჭარის მოსახლეო-ბის ყოფაში კაბინი (კაბინი გვარდის სინონიმია, სახელწოდება გვარდა უფრო ზემო აჭარის ლექსიკაში გვხვდება. როგორც უკვე ითქვა, ამ სახის ჭურჭელი სულ რამდენიმე თავი მზადდებოდა და თითოეულ მათგანს გა-

კულტურული ფუნქცია პქონდა აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში. ამ ხა-
ნის ჭურჭელი უმთავრესად რძის პროდუქტების შესანახად იმარება. ეთ-
ნოგრაფიული მასალებით დასტურდება აგრეთვე გვარდა//კაპინის მეფის ტრადი-
კური გამოიყენებაც. კოდი გამოიყენება როგორც რძის პროდუქტების გადა-
მუშავებაში, ასევე მემინდვრეობაშიც. ერთი კოდი ერთი პინის შესატყ-
ვისა. კოდი, ლორჯომის ხეობის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით,
მინის საზომ ერთეულადაც დადასტურდა. ერთი კოდი მინა ათას კვადრა-
ტულ მეტრს უდრის.³ სულხან-საბას განმარტებით, „კოდი ადგილით—ად-
გილ მეტ-ზაჟლები იციან, არამედ სწორი საწილავი ეს არს; ახლისა ლიტ-
რითა ათი შთაიტიოს, რომელ არს ორასისა თუხტისა ნონა; ქილაკი არს
ნახევარი კოდი, რომელ არს ფოხალი; გუში არს ნახევარი ქილაკი; ტაგანა
არს გუშის ნახევარი, კოდი კი ტაგანას ნახევარი და მათხირი კოდიკის ნა-
ხევარი“. 6. ჩუბინაშვილსაც კოდი საწყაოდ აქვს განმარტებული. „კოდი
არს ერთი კასრი, ანუ ჩანახი, გინა მოდა, კოდის ნახევარი არს ფოხალი,
ეილაკი და მათხირი, ფოხალის ნახევარი არს გუში, გუშის ნახევარი თაღა-
რი ან ტაგარი“.

ივ. ჯავახიშვილის გამოიყენებით კოდი დასავლეთ საქართველოს XVII-
XVIII საუკუნეების ძეგლებში ნაკლებად გვხვდება, მკვლევარი ამას
იმით ხსნის, რომ ლიხთ-იმერეთის ალებ-მიცემობაში იგი იშვიათი სახ-
მარი უნდა ყოფილიყო. რაჭის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით,
კოდი ფართოდ გამოიყენებოდა მოსახლეობის საქმიანობაში
გასულ საუკუნეებში და დღესაც არაა მივინწყებული. კოდი გვხვდება რო-
გორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.
საქართველოში კოდის ნონითი თოვნობა მერყეობს. 1,5—3 ფუტს შორის.⁴

საველე ეთნოგრაფიული და ნერილობითი მასალებიდან დასტურდება,
რომ კოდი, როგორც საწყაო ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფაში მტკი-
ცედ ყოფილა დამკვიდრებული. მაგრამ დღემდე შეკრებილ მასალებში თით-
ქის არაფურია თქმული ამ რიგის ინვენტარის დამუშავებისა და მოხმა-
რების ტრადიციებზე, ამ მხრივ ჩვენი დაკვირვება ნაწილობრივად აღსებს
ამ ხარებზე.


მეურნეთა და ოსტატთა დაკვირვება-გამოცდილებით კაპინეული ჭურ-
ჭლის დასამზადებლად მხოლოდ და მხოლოდ ნაძვის ხის მასალა გამოდ-
გება. მთხრობელთა დახასიათებით „ნაძვი ძარღვიანი ხეა, მოსალუნავად
კარგია, არ გატყდება“, მაგრამ ცველა ნაძვის ხე საჭურჭლედ არ გამოდ-
გება ამიტომ ასეთ ხეს ნაძვნარში საგულდაგულოდ შეარჩევდნენ და შე-
იგულებდნენ. შეგულება ხდებოდა „გამოსანახავით“ ანუ სინჯის აღებით.
ჭვანის ხეობის შეგვარდები საყოლ მასალას უმთავრესად შორეულ ტყე-
ებში ეძებდნენ. ამ მხრივ საუკეთესოდ მიჩნეული იყო ფოთაროს, ბოლი-
შის, გვანცას, ლრუდის და სხეულ ტყეები. კაბინის ხე-მასალა ყავრის სახით
შზალდებოდა და შემდეგ რანდით იწმინდებოდა. „მზისაგან დამნვარი ხე“
არ გამოდგებოდა, „ხე კარგი ნაზარი საქაბინედ უნდა ყოფილიყო“. „კო-
ქეან“ ადგილზე „საყავრე ნაძვი არ იზრდებოდა, „საყავრე ხეს არც მზე
უნდა წვავდეს, და არც სულ ჩრდილი უნდა ქონდეს“. ამისათვის არც ბო-

ლიანი (ტოტიანი) ნამეოს ხე ვარგოდა. გარდა ამისა, ხელოსანი ხეს „ნაზარდეზე შეხედავდა“, თუ მცენარეს „ძარლვი“ მარცხნივ ჰქონდა, ხსეთი ხე ყავრად გამოდგებოდა, ხოლ „მარჯვენა ხე“ საპობატუ დრო შეკერძის გასახდელად უვარესი იყო. „ხეს ნადუღი მარცხნივ უნდა შექმნილა ასე შერჩეულ ხეს გამოსანხავდნენ. სანაბს იქვე გახდიდნენ, თუ სანახი კარგი იყო, მაშინ ხეს მოჭრიდნენ, თუ სანახი არ ვარგოდა, დაკოდილ ხეს ტალახით შეგოზავდნენ და ალარ მოჭრიდნენ. შერჩეულ ხე-მასალას უმარესად შემოდგრმა-ზამთარში ჭრიდნენ. მოჭრილ ხეს 9-9 მტკაცელად ინიშავდნენ და მორქებად დახერხავდნენ, საყავრე მორქებზე ქერქის შემოცლა არ იყო აუცილებელი, რადგან ქერქებაც ლი მასალა ქარის დაკვრისაგან შეიძლება გამრუდდეს. გამზადებულ მორს ძირის მხარეზე შეაყვენდნენ და მასზე ფარის პირით ნაპრალს მისცემდნენ; ნაპრალში ხის სოლებს ჩაურქობდნენ, რასაც „მოსოლვა“ ეწოდება, და უროთი შეაზე აპოდანენ, ამის შემდეგ დაანაოთხლებდნენ და დამესრავდნენ. თითოეულ მესერს ყავრად ხდიდნენ, ხელოსანი გახდის დროს ახარისხებდა საგვარდე, საკოდე, საკოლოცე მასალას. საგულდაგულოდ შეარჩევდნენ საგვარდე მასალას იგი სქელი უნდა ყოფილიყო, მისი სისქე ცერის თითოებით, იზომებოდა, ცერზე ნაცლები სისქეს ყავრისაგან გვარდა არ გამოვიდოდა. ასეთს საკოლოულ ინახავდნენ. გვარდისა და კოდის ყავარი სქელი და სიგანით 1.5-2 მტკაცელი უნდა ყოფილიყო. რადგან ასეთი მასალა „კრიჭას“ კარგად დაიჭრდა და დიდხანს ძლებდა.

საჭურჭლე მასალის შერჩევა საჭირო ცოდნა-გამოცდილებას მოითხოვდა. საჭურჭლე ყავარი განსხვავდებოდა სახლის დასახურავი ყავრისაგან. ერთ ფურცელ ყავარს ფრთა ეწოდებოდა, ოცი ფრთა ყავარი ერთი „ჭვირთი“ იყო. ერთი საშუალო სიდიდის სახლს „ორმოცი ჭვირთი“ ყავარი სჭირდებოდა. დამზადებულ ყავარს ტყეში დათაკრავდნენ. ასეთ მდგომარეობაში ყავარი გახმობის პროცესში ინარჩუნებდა სისწორეს. ყავარი უმთავრესად ცხენით გამომქონდათ, სადაც ცხენის გზა არ მოუდგებოდა ყავარს ზამთარში თუშითა და ციგითაც ეზიდებოდნენ. მიუვალი ადგილებიდან სახლის სახურავი ყავარი ნადით გადმომქონდათ. საჭურჭლე ყავრის გადმოტანა კი სიფრთხილეს მოითხოვდა და ისევ ჭურჭლის ოსტატებს გადმომქონდათ.

საჭურჭლე მასალას სპეციალურ დაზგაზე ამუშავებდნენ. მთავარი სახელოსნო იარალი იყო ორხელი. ხის ოსტატთა დახასიათებით, „ორხელი ყავარის ძარლვებს მიყვება და ასუფთავებს. ძარლვს არ გაუჭრის, მისი პირი ვინრო, ჩაკეცილ ადგილებსაც ადვილად მიუდგება. სალაშინი (რანდა) ყავარს ასწორებს, მაგრამ ძარლვებს აზიანებს, გარანდული მასალა საყოლად არ გამოდგება“. (სოფ. ნალვარევი, შუახევის რაიონი, მთხრ. ი. კილაძე, 45 ნლის).

როგორც ოსტატების დაკვირვებიდან ჩანს, საჭურჭლე-საყოლი მასალისათვის მთავარი „ძარლვი“ იყო. ამ თევისებების გამო კაბინეულის დასამზადებლად აღიარებული იყო ნაძვის მასალა“. „ნაძვი ძარლვიანი ხეა, მას ნაზარდი ძირიდან წვერომდე მიყვება. ამავე დროს მისი ძარლ-




զարդ.

Посуда «Гварда».




յուղ.

Посуда «Коди».



Կահաժառը յուղով.

Посуда для хранения ваты.



Կանաչք յուղով.

Посуда для хранения сливки.




Կանաչք.

«Сахапави».

յուղովյան եղիշեմ.

Посуда «Колофи» на столе.





ცხრილი.

ციტ. «Цхрилти».

ეები ფისით მოდულებულია და ამიტომ ყავარი ადვილად იღუნება. გახმობის შემდეგ ჭურჭელი მსუბუქია და ადვილად არ ტყუდება. (სოფ. ნალვარევი, შუახევის რაიონი, მთხოვ. შ. ბერიძე, 50 ნომ.). განმენდილი ყავრის სისქეს „ცერი თითის სიმსხოზე“ აყენებდნენ ასე დამზადებულ საჭურჭლე ყავარის თუნექის საგანგებო პაპანაში ადულებულ წყალში აწყობდნენ და ხარშავდნენ. ერთ პაპანაში სამი-ოთხი ყავარი იხარშებოდა. მოხარშეას ორმაგი მნიშვნელობა ჰქონდა: ჯერ ერთი, „მასალა მომყოლი ხდებოდა“, მეორე, ხარშეის პროცესი ნაძვის მასალას სიმნარეს, ფისს გამოაცლიდა. მოხარშეულ მასალას ხელოსანი სპეციალურ ხელსაწყოში — კალპოტში გაატარებდა. „ფორმა ცხელ-ცხელ მასალას მოქეშნიდა“. ვვარდა ოვალური ფორმისა მზადდებოდა. ხოლო კოდი და კოლოფი მრგვალი, ცილინდრისებრი. „მოყოლების“ შემდეგ ყავრის თავებს „მაშებით“ შეარადნენ და აშრობდნენ. მომდევნო პროცესი ჭურჭლის შეკერვა იყო. „გადადებულ“ თავებს სადგისით დახვრეტდნენ და ნაძვის ხისავე ფესვისაგან დამზადებული თასმით (ნაძვის თასმა დამუშავების შემდეგ რჩილი და მომყოლია, ისე გასივდება, რომ „ნაკერში ჭურჭელი სითხეს არ გაუშვებს“), გაკერავდნენ. საუკეთესოდ ითვლებოდა „გრეხილი თარგი“, რომელიც ხასიათდებოდა სილამაზით და გამძლეობით. ასე დამზადებულ ჭურჭელს შემდეგ „თავფაცხერს“ გაუკეთებდნენ „სატანესთან“ შედარებით „საფცერე“ (საძირე) და სათავე მასალა სქელი უნდა ყოფილიყო, რომ ჭურჭელი მდგრადი და მაგარი გამოსულიყო. შემოთლილ-შემონშენდილ საძირეს კიდეებს დაუსველებდნენ, ხის ჩაქრით „დაბეჭავდნენ“ და ისე მოარგებდნენ. დანაბეჭავი მასალა შემდეგ უართოვდებოდა და ტანში მჭიდროდ „ჩაჯდებოდა“.

თუ ჭურჭელი სითხეს გაატარებდა, მაშინ მის შიგა კედელს გადადებულ ნაძვისავე ფისით გამოგლესდნენ და ნათხს (მარილწყალს) ასხამდნენ. ნათხი ფისს მოკერტავდა და ქვასავით მაგარს გახდიდა“. ასეთი ჭურჭელი საიმედო იყო პროდუქტების შესანახად. ძირის გამოდგმა მეტ სიზუსტეს მოითხოვდა, რათა ნათხი არ გამოსვლოდა. კარგი ნახელავი ჭურ-

ქელიც იმით ფასდებოდა, რომ სითხე არ გაუვიდოდა. ასე მორგებულ ძირს აღწერ ხის პატარი მრგვალი სოლებით ამაგრებდნენ, ხოლო შემდეგ სოლები ლურსმანმა შეცვალა. სიმაგრისათვის ჩასოლარზე ისევ ყავრის ხალტეს შემოაკრავდნენ, მასაც „ჩასოლავდნენ“ და ამით უსკერის გამოდგმაც მთავრდებოდა. სახურავსაც ასე აკეთებდნენ, ოღონდ „სათავეს“ მასალის შემოხაზვა გვარდის შიგნიდან კი არა, გარეთა მხრიდან ნარმიებდა, რადგან თავი გვარდას გარედან უნდა მორგებოდა. ზომით შემოჭრილ სათავეს სალტეს შემოაკრავდნენ, რომ სახურავი გვარდას ზემოდან მტკიცედ ნამოხსმოდა.

ასეთივე სამუშაოს მოითხოვდა კოდის „თავ-ბოლოს“ გაკეთებაც. ეთ-ნოგრაფიული მასალებით დადასტურდა. რომ კოდი ორი სახისა მზადდებოდა — ერთი რძის პროდუქტებისათვის, ხოლო მეორე მემინდვრულის პროდუქტებისათვის. რძის პროდუქტების კოდის დამზადება საიანადო ყურადღებას მოითხოვდა. მასალაც საგულდაუსულოდ შერჩეული უნდა ყოფილიყო. მას აგრეთვე ყოველთვის თავსახურავით აკეთებდნენ.

კოდ-კოლოფს ლეკის ან თხილის ხის „ტკეჩისაგან“ ოვალური ხელი უკეთდებოდა. ოსტატი სახელურის გაკეთების დროს ითვალისწინებდა ჭურჭლის სიღიდეს და მოხმარების თავისებურებებს. სასახელურეს (კოდის ტარი) ნორჩი ლეკის ან თხილის ხე სჭირდებოდა. შერჩეულ მასალას შუაზე გააპიძლნენ, გლუვად გათლივნენ და ცხელ წყალში ნამოადუღებდნენ. მერე „მუხლზე შემოაყოლებდნენ“, ნახევარ წრის ფორმას აძლევდნენ და თავ-ბოლოს გაუხერეტდნენ. ამის შემდეგ ოსტატი ჭურჭელზე საქრიჭე ადგილებს მონიშნავდა, თუ კი „გვერდულა“ იყო გააშუაგულებდა, მონიშნულ ადგილს ბურღლით ხერებდა და ტარს მუხის ან ლეკის კრიჭე-შით ამაგრებდა. კრიჭის სიმაგრეზე იყო დამოკიდებული სახელურის გამძლეობა. მისი სიმსხვეილე კოდის სიდიდესთან იყო შეფარდებული.

ხის ჭურჭლის კოლექციებში ერთ-ერთი ნამყვანი ადგილი რძის პროდუქტების ჭურჭელს ეყუთვნის. შეკრებილი მასალების მიხედვით, კოდი საუკეთესოდ ითვლებოდა როგორც ყოველდღიურად სახმარ ინკუნაბური, ასევე პროდუქტების შესანახადაც. აფრე მას ფართოდ იყენებდნენ რძის სანველად. როგორც საველე ეთნოგრაფიული მასალებით ჩანს, კოდის ერთად სანველელად გამოყენებული იყო მასიური ხისაგან დამზადებული ჭურჭელი, რომელსაც სახელიც „სანველელა“ რქმევია, იგი შემდეგ კიდას შეუცვლა. კოდში ინახავდნენ ყველს, კარაქს, ნაღულს, აგრეთვე ფეხა-მუშს. კოდში ინახავდნენ ყველს, კარაქს, ნაღულს, აგრეთვე ფეხა-მუშს. კოდში რძის პროდუქტებს ინახავდნენ უმთავრესად „ხელმიკულე“ თჯახები, რომლებსაც ორი-სამი მენეველი ძროხა პყავდათ და მათი პროდუქტები „გვარდებს ვერ აავსებდა“.

კოდს ფართოდ იყენებდნენ მარცვლეულის მოსაწევად, სიმინდის მოსატანად, კარტოფილის მოსავლის ალების დროს და სხვ. კოდის უპირატესობა სხვა სახის ჭურჭელთან შედარებით იმითაც აიხსნება, რომ იგი მსუბუქია, ტევადი და გამრბე.

კონსტრუქციულად კოდს ნააგავს კოლოფები (კოთხოვები. მათი დამუშავების ხერხები ისეთივეა, როგორც კოდისა. შეკრებილი მასალების მი-

ხედვით დაბასტურდა სხვადასხვა ზომის კოლოფები, რომელთაც ცავისი
დანიშნულება აქვს. საყურადღებოა, რომ მთიანი აჭარის პირალები
ხმარებაშია კოლოფი, ხოლო ბარის აჭარაში — კოთხო. კოთხო სილამაზული
კოდაა და კოლოფს შორის გარდამავალი ჰურტელია. იგი ფორმისტურნი ყოველ
კოდს ემსგავსება, ვიდრე კოლოფს. კოლოფში საკუთხევის მანონი დგებო-
და. „კოლოფის მანონი ტკილია, ადრე არ მგავდება, შესაყენებლად კარ-
გია და მანონი ნელა გამოყავს“. ლითონის ან მინის ჰურტელი ფირა და მა-
ნონი „წყალი და მგავე გამოდის“. ყველა ოჯახს ცალკე ქონდა სამანვნე
კოლოფები.

„სანალე კოლოფს“, გარდა ნალებისა, მთიდან ბარში კარაქის გადმოსატანად იყენებდნენ. საერთოდ კოლოფების დანიშნულება უმთავრესად საზაფხულო საძოვრებიდან ყოველდღიურად სახმარი რძის პროდუქტების გადმოტნა იყო. კარგად თავმორგებულ კოლოფებს ხურჯინებში ჩააწყობდნენ და ცხენებით გადმოსცეონდათ. გარდა ამისა, კოლოფები ფართოდ გმიოცენებოდა ბარშიც შემოდგომა-ზამთარში, როცა წელადობა კლებულობს, ნაჯლულ ჭურჭელში პროდუქტი „ამწარდებოდა“, ამიტომ პატარა ზორის ჭურჭელს, კერძოდ კოლოფს ამ მხრივ უპირატესობა ენიჭებოდა.

კოთხო-კოლოფები, განსხვავებით კოდ-კაბინისა, მხოლოდ რძის პრი-
დუქტებისათვის იყო განკუთვნილი.

კაბინეტული ხის ინვენტარში ყურადღებას იქცევს ე. ნ. „სამატყულე კოლოფი“, რომელსაც რძის პროდუქტების კოლოფებისაგან განსხვავებით მოგრძო ოვალური ფორმა აქვს. მარითის ხეობაში ამ სახის კოლოფს „სან-რიმალოსაც“ უძინავ და, გარდა მატყულისა, ქალთა ხელსაქმის ინვენტარს — „ნინდის ჩხირებს, ხელტარს — კვირისთავს, ნემსს, ძაფსა“ და სხვა ამგვარებს ინახავენ. „სან-ვრიმალო კოლოფები“ აჭარელ ქალთა სამზითვო ინვენტარშიც შედიოდა. სამზითვო კოლოფებს ოსტატები განსაკუთრებული გულმოდგინებით აკეთებდნენ და მას სხვადასხვა ფურის სალებავებით და ორნამენტებით ამობდნენ. უმთავრესად გამოყენებათ მცვნარეული და გეომეტრიული სახის ორნამენტები, მზის, ვარსკვლავების გამოსახულებები. ამ სახის ორნამენტებითა შემული სამზითვო სკოვრებიც. როგორც ჩანს, სამატყულე კოლოფების ორნამენტის წყაროება სამზითვო სკოვრები უნდა იყოს. მთხრობელთა დახასიათებით, ამ სახის კოლოფების ძირითადი დანიშნულება მაინც მატყულის შენახვა იყო. „იგი მატყულს არ დაქრილავს“.

კაპიტენულ ინვენტარში ამ ბოლო ნლებში სათანადო აღგილი დაიკავა ავრეთვე ახალი ტიპის ბორბლიანმა სადლებელმა. ახეთი სადლებელიც კოდისებურად მზადდება, ოღონდ მისი თავ-ბოლო უძრავად მაგრდება, შიგნით ბორბალი აქვს გამართული, ერთ მხარეზე საფარი აქვს, ხოლო მეორე საპირისპირო მხარეზე — პროდუქტის ჩასასშელი „პირი“. ყავრი-დან დამზადებული სადლებელის გარდა, დადასტურდა მასიური ხისაგან გათლილი ბორბლიანი სადლებელებიც. ამ ტიპის სადლებელების „მექანიზმი“ ხელის ჩახსის მუშაობის პრინციპზეა აღმართო.

აჭარის მოსახლეობის საზოგადოებრივი გამოყოფილება ხის ჭირჭილის

დამუშავებაში ემყარება დიდ სანარმოო ცოდნას, რაც მკუთხად მოჩანს კაპინეულის დამზადება-მოხმარების მრავალფეროვან ხერხებში. აქარის ხეობებში ვერტიკალური ზონალობის გათვალისწინებით კატასტრული დაკვირვებებით დასტურდება, რომ კაბინეულ ჭურჭელს გამატებული მდგომარეობა უჭირავს ყველა სახის ჭურჭლეულში (სპილენძის, თიხისა და ხის ჭურჭელი). ეს აიხსნება აქარაში მესაქონლეობის განვითარების ხასიათით, რძის პროდუქტების შენახვა-ეკონერვაციის საჭიროებით. გარდა ამისა, საველე ეთნოგრაფიული მასალები ცხადყოფს, რომ აქარული მესაქონლები უძველესი დროიდან იცნობდნენ ხის ჭურჭლის საუკეთესო თვისებებს და მის კეთილ გავლენას რძის პროდუქტებზე. მთხრობელთა დახასიათებით, ნაძვის ხისაგან დამზადებული ჭურჭელი (კაბინი, ეკლოფი და ხევ) კარაქს არომატულ სუნსა და ყვითელ შეფერილობას აძლევს, ხოლო ცაცხვის და თელის ხის გობები საკულესოდ ითვლებოდა მაღალხარისხოვანი ნალების მისაღებად. „ცაცხვი თბილი ხეა და რეს საქმაო ხითბოს უნარჩუნებს ნალების მოსაგდებად. (მთხრობელი ე. ქათამაძე, მნ ნლის სოფ. ჭვანა, შუახევის რაიონი). გობის ნალები კარგი გემოთი ხასიათდება და დიდი უპირატესობა აქვს გამოხდილ ნალებთან შედარებით.

კაბინეული ჭურჭელი, ზედმინერნით ხელსაყრელია აგრეთვე პროდუქტების ტრანსპორტირებისათვის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გვარდების მოგრძო ოვალური კონსტრუქცია, რომელიც შეპირობებულია ცხენის საპალნისა და ზურგით გადატანისათვის. ოთხი გვარდა ამავე დროს ერთი ოჯახის პროდუქტებსაც იტევდა. საშუალო ოჯახი საზაფულო საძოვრებზე ანარმობდა ერთ გვარდა კარაქს, ორ გვარდა ყველას, ერთ გვარდა დოს (ნაფულს), მოზრდილ ოჯახს, რომელსაც მეტი პირუტყვი ჰყავდა, ორჯერ მეტი კაბინეული სჭირდებოდა. მთავარი აქარის მოსახლეობას რძის პროდუქტები კაბინებით (გვარდებით) გადაჟირდა პათუმისა და ოზურგეთის ბაზრებზე გასაყიდად. განსაკუთრებით დიდი გასავალი ჰქონდა კარაქს. აქარულ კარაქს, ჩილებილ ყველს და ხევა პროდუქტებს დღესაც დიდი მონონება აქვს საკოლმეურნეო ბაზარზე.

ეთნოგრაფიული მასალებით დადასტურდა აგრეთვე, რომ ბაზარზე კარგი მაზანდა ჰქონდა თეთო კაბინეულ ჭურჭელს. მეგრელი მეკარვეები, რომლებიც საზაფულოდ ალპურ საძოვრებზე მიერკებოდნენ საქონელს, აქარულ ოსტატებს სასულგუნე გვარდების დაკვეთას აძლევდნენ⁶. ლორჯომელი, ჭვანელი, ინჯირვეთელი, ბრილელი და ხევ. სოფლის ჭურჭლის ოსტატები მეგრელი მესაქონლებისათვის საგანგებოდ ამზადებდნენ გვარდებს. „აქარული ყველის გვარდას მტკაველნახევარი სიმაღლე ყოფნიდა, ხოლო სულგუნის გვარდა აუცილებლად ორმტკაველიანი უნდა ყოფილიყო და სისქე ცერა თითზე მეტი უნდა ჰქონდა. (მთხრ. დ. ბოლქვაძე, 65 ნლის, სოფ. ბრილი, შუახევის რაიონი). გასაყიდი გვარდები ზაფხულობით შზადებოდა მთაში. განსაკუთრებით დიდი გასავალი პერნდა კაბინეულ ინვენტარს ბახმაროსა და გომის მთაზე. იქ გურიისა და სამეგრელოს მეჯოგები სეზონზე რძის პროდუქტებს ყიდვდნენ, ამავე დროს, ისინი აქარიდან ჩატანილ ჭურჭელსაც ყიდულობდნენ. ხის ჭურჭელი კურორ-

ტების მახლობელ იალადებზე — ზოტიყელში, შედრუეილში, ქელგორზე,
ვომის მთაზე მზადდებოდა. ნანარმი ბაზარზე ქენებით გადაპქონდათ
აჭარელ ისტატთა ნახელავ ჭურჭელს მონონება პქონდა აგრეთვე აზელული
ეალაქსა და ახალციხეში.

ხის ჭურჭელზე დიდი მოთხოვნილება იყო აფეილშეც. ხის ჭურჭელი
ძირითადად მარცვლეულზე (ფეტვი, ჭვავი, ქერი, პური და სხვა) იცვლე-
ბოდა, შემდეგ კი გაცვლით სისტემაში ძველი კულტურები სიმინდმა შეც-
ვალა. ერთი გვარდა თავის წყვა ხორბალზე იცვლებოდა, ხოლო სიმინდი —
ერთნახევარი წყვა სტირდებოდა. ასე იცვლებოდა კოდებიც და კოლ-
უებიც.

როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, ჭურჭლის ამ სახეობის
დამზადებას გარკვეული სპეციალური ცოდნა სტირდებოდა, რის გამოც
კაბინეულ ჭურჭელს თავისი ისტატები ჰყავდა, ხოლო მოხარატებულს —
კიდევ თავისი. კაბინეული ძირითადად მარტივი ხერხებითა და მეთოდე-
ბით მზადდებოდა და იგი არ მოითხოვდა ჩარხ-ხვენებს. ისტატთა თხრი-
ბით, შეგვარდის სამუშაო იარაღები დიდად არ იყო გამოცალკაებული
დურგლეს ინვენტარისაგან, მასში შედიოდა: „ოთურა ცული“, რომელსაც
ხის ვლი. აჭრელადაც იყენებდნენ და საპობადაც, გრძელი განივი ხერხი
მორების, დასახერისად, დაშნა ყავრის გასამდელად, ორხელი ყავრის გასან-
მენდად, მოლუნული, წერილი დანა ხის თასმების ლასამუშავებლად, ხე-
ლეჩის „თავ-ბოლოს“ დასამზადებლად; ეალაპოტი ყავრის მოსაყოლებლად,
აპაზანჯები მასალის გამოსახარშევად და სადგისი ჭურჭლის შესაკერავად.
ალნიშნული ჭურჭლისათვის განკუთვნილ, რკინის იარაღებს ადგილობ-
რივი მჭედლები ამზადებდნენ.

1. თ. ქრისტიანი, ქრონიკები, 11, თბ., 1837, გვ. 47—48.

2. ბ. ბერგაძე, მთის მიწამონაშეცება დასაცავ საქართველოში, თბ., 1969, გვ. 185.

3. მიწის ფართობის განვირინების კოდერი სასტემა, უკველეის ქრისტიან წეს ჩინს
და იგი სათემო მიწამონაშეცებლისაში ატარდის XIX ს. ბოლომდე უთეილა გამატონებული
(ა. ივალიანი, მიწამონაშეცებლის ფორმები ატარდი, ბათუმი, 1960, გვ. 130).

4. ბ. ბერგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 175-177.

5. თ. ჩიქეთიშვილი, ზემო იქანონულ სატანა, საქართველოს მეცნიერებათა ექვემდების ბათუმის
სამეცნიერო კულტურითი ინსტიტუტის შრომები, 1, 1960, გვ. 96.

6. სულგენის დამზადების შესახებ. ს. 6. თოფურია, რძის დაცუშევების ხალხის წესები
სამეცნიერო კულტური (კვლევი), ქრებ. „ქართველი ხალხის სამეცნიერო კოცა“ და მატერიალური კულტუ-
რის“, თბ., 1964, გვ. 40.



საქართველო
სამეცნიერო
აკადემიური
უნივერსიტეტი

ქ. ბათუმში. სახლი ლიბჭეჩის № 32-ზი, რომელიც რესტავრაციას
აწარმოებს არქიტექტორთა ეკიპირი.

Дом на ул. Либкнехта № 32 в г.
Батуми.

თეიმურაზ ერმანები

გადი ზურადლება ჩალაპის ქველ კვართალებს

არც თუ ისე იშვიათად არქიტექტურულ ძეგლებად მიაჩინიათ, მხოლოდ უძველესი პერიოდის ნაგებობები (ტაძრები, ციხე-სიმაგრეები, ხიდები და სხვ.) და არა ქალაქის სამოქალაქო ხასიათის ნაგებობები, რომლებიც ამა თუ იმ ქალაქის ძეგლ უპნებშია განლაგებული და მისი განვითარების ამა თუ იმ ეპოქას წარმოგვიჩინს.

ამ მხრივ ნარსულში ქ. ბათუმის ძელი კვარტალების განაშენიანების დის დროს დიდი შეცდომები იყო დაშვებული. ეს განსაკუთრებით ეხება ლენინის გამზირისა და გოგებაშეიღის ქუჩას შორის მოქცეულ კვარტალებს, თუმცა ბათუმი აյ გამონაელის როდი გახლავთ. ძეგლთა ასუთისუ შეუფასებლობამ საქართველოს სხვა ქალაქებიც დააზიანა.

უკანასკნელ პერიოდში, როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე საზღვარგარეთაც დიდი ყურადღება ჰქოცება ქალაქის ძელი უბნების აღდგენის საქმეს. საქართველოს სინამდვილეში ამ მხრივ საილუსტრაციოდ მარტო ქ. თბილისის მაგალითიც კმიარა. თბილისის ძელი კვარტალები, რომლებიც ახლახან აღადგინეს ქალაქის თვალწარმტაც სანახაობად იქცა, რომელსაც განცვილებაში მოპყავს არა მარტო თბილისის მკეიდრონი, არა შედ სტუმრებიც. გარდა იმისა, რომ იქ მცხოვრებთ შეექმნა ნორმალური საზოგაცხოვრებო პირობები, ნათლად სჩანს ჩვენი ნარსულიც (კულტურა, სამშენებლო ტექნიკის დონე და სხვ.).

ბათუმში ყოველგვარი საშუალება არსებობს ქალაქის ძელი უბნების აღდგენის, კეთილმოწყობისა და მისი ხალხის სამსახურში ჩაყენებისათვის. ამ მხრივ კარგი საქმე ნამოინყო საქართველოს არქიტექტორთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის, როცა ვალდებულება იქისრა, რომ ლიბკეტის ქ. № 32-ში არსებულ ძელ, არქიტექტურის თვალსაზრისით ერთერთ საუკუთხმო შენობას აითვისებდა, აღადგენდა და პირდაპირი დანიშნულებით (არქიტექტორთა შემოქმედებითი სახლი) გამოიყენებდა. აღგილობრივი პარტიული საბჭოთა ორგანიზების დახმარების შედევრად. ეს საქმე არღა დასასრულად უახლოვდება. სამედიდობრ ასათვისებელ შენობაში მცხოვრებთ ბინები მიეცათ მათთვის აგებულ საცხოვრებელ სახლში, პუშკინის ქ. № 150-ში. შედგენილი და დამტკიცებულია ძელი სახლის აღდგენისა და კეთილმოწყობის პროექტი. გამოყოფილია სახსრები პროექტის განხორციელებისათვის. ასე, რომ მომავალი საკურორტო სეზონისათვის (1982 წ. მაისი) ოპერეტი ვესპლუატაციაში იქნება გაშვებული. ბათუმშის განაშენიანება და ქალაქის იერსახე დიდად მოიგებს, თუ მსგავს ინიციატივას ქალაქის სხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელებიც გამოიჩინენ.



არქიტექტორის სამეცნიერო-კულტურული
მუზეუმის საგამოფენო დარბაზი

Фрагмент здания выставочного зала
музея архитектуры.

გიგანტური

თათუავის არებულების სახავილი-კვლევითი მუზეუმი

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის აჭარის ორგანიზაციამ (გამ-
გეობის თავმჯდომარე დავით კომახიძე) სამოცდაათიანი წლების დასაწ-
ყისიდან დაიწყო, გზებისა და საშუალებების გამოძებნა ქალაქ ბათუმში
არქიტექტურის სამეცნიერო-კულტურული მუზეუმის ჩამოსაყალიბებლად და
ერთდროულად შეუდგა სათანადო უონდების შეგროვებას. 1976 წლის და-
საწყისისათვის ორგანიზაციამ თავი მოუყარა 6 ათასამდე სხვადასხვა სახის
ექსპონატს. გარდა აღნიშნულისა, 1975 წლიდან დაიწყო ზრუნვა არქიტექ-
ტურულ ძეგლთა გამოვლენის, შესწავლისა და პროპაგანდის შესახებ,



არქიტექტორის სამუპნიკო-კულტო-სტილის
შრესუბის საგამოსულო დარბაზის შეგა-
ხვდას ფრაგმენტი.

Фрагмент внутреннего вида выставочного зала Научно-исследовательского музея архитектуры.

